გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულების კვლევა საქართველოში

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

CRRC GEORGIA

UN WOMEN

© 2024 გაეროს ქალთა ორგანიზაცია

ანგარიში მოამზადა CRRC-საქართველომ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ტექნიკური მხარდაჭერით.

დიზაინერი: თეკლა გიაშვილი

ეს ანგარიში მომზადდა პროექტის „ქალთა ლიდერობა დემოკრატიისთვის საქართველოში“ (WILD) ფარგლებში, რომელსაც გაეროს ქალთა ორგანიზაცია შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მის ავტორებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის ან შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციას.

გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულების კვლევა საქართველოში

გაეროს ქალთა ორგანიზაცია
თბილისი, საქართველო, 2024

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC

CRRC GEORGIA

UN WOMEN

სარჩევი

მოკლე შეჯამება	6
1 შესავალი	13
2 მეთოდოლოგია	17
3 კვლევის მიგნებები	18
3.1 განათლება	19
3.2 სამსახური და დასაქმება	22
3.3 ლიდერობა და მონაწილეობა	27
3.4 ქორწინება და ოჯახური ცხოვრება	35
3.5 უსაფრთხოება და ძალადობა	41
3.6 ჯანდაცვა	44
3.7 საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლი	47
3.8 პირად ფინანსებზე კონტროლი და ფიზიკურ ქონებაზე წვდომა	52
3.9 მომავლის იდეალები	55
4 დასკვნითი დებულებები	56
შენიშვნები	60

აპრონიმები და აბრევიატურები

CRRC	კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი
ლგბტქი+	აბრევიატურა, რომელსაც იყენებენ გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ინტერსექსუალი და ქვიარ ადამიანების აღსანიშნად
შშმ	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

მოკლე შეჯამება

გენდერული თანასწორობისადმი დამოკიდებულების კვლევა საქართველოში 2024 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის დაკვეთით ჩატარდა. წინამდებარე კვლევა ნაწილია პროექტის - „ქალთა ლიდერობა დემოკრატიისთვის საქართველოში“, რომელიც შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. კვლევა 2024 წლის იანვრიდან თებერვლამდე პერიოდში CRRC-საქართველომ ჩაატარა. გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულების კვლევა მოიცავდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას ქვეყნის მასშტაბით და მიზნად ისახავდა იმის შესწავლას, თუ რამდენად არის გავრცელებული საქართველოში დისკრიმინაციული დამოკიდებულებები და გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც ქვეყანაში გენდერულ უთანასწორობას უწყობს ხელს.

გამოკითხვის ფარგლებში 1,238 ინტერვიუ ჩატარდა. კომპიუტერის გამოყენებით პირისპირ გამოკითხვის (CAPI) მეთოდით გამოიკითხა 16 წლის ან უფროსი ასაკის მოსახლეობა საქართველოში. კვლევის შედეგების განზოგადება სწორედ ამ ჯგუფზეა შესაძლებელი. ცდომილების საშუალო ზღვარი 2.9 პროცენტს შეადგენს.

კვლევის კითხვარი შეეხებოდა გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ დამოკიდებულებებსა და სოციალურ ნორმებს შემდეგ ათ სფეროში:

1. განათლება
2. სამსახური და დასაქმება
3. ლიდერობა და მონაწილეობა
4. ქორწინება და ოჯახური ცხოვრება
5. უსაფრთხოება და ძალადობა
6. ჯანდაცვა
7. კონტროლი საკუთარ ცხოვრებაზე
8. კონტროლი პირად ფინანსებზე
9. წვდომა ფიზიკურ ქონებაზე
10. მომავლის იდეალები

გარდა ამისა, გამოკითხვის შედეგები ინფორმაციას გვაძლევს როგორც გენდერულ თანასწორობასთან და ქალთა გაძლიერებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური დამოკიდებულებზე და ასევე სოციალური ნორმების შესახებ არსებულ წარმოდგენებზე და ამ ორს შორის არსებულ მსაგვსებებზე და განსხვავებებზე.

ძირითადი მიგნებები

1. **მოსახლეობაში გავრცელებულია დასაქმებასთან დაკავშირებული გენდერული სტერეოტიპები.** მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (83%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ ანაზღაურებადი სამუშაო საუკეთესო საშუალებაა ქალისთვის, იყოს დამოუკიდებელი, თითქმის ყოველ მეორე ადამიანს (48%) მიაჩნია, რომ სამუშაო ადგილების სიმწირის შემთხვევაში კაცების

დასაქმება უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე ქალების. გარდა ამისა, მოსახლეობის უმრავლესობას (75%) სჯერა, რომ არსებობს პროფესიები, რომელთა შესრულებაც ქალებს არ შეუძლიათ. ასევე, ყოველი მეორე ადამიანი (54%) ფიქრობს, რომ მომსახურების სფეროში სამუშაო ქალებს უფრო მეტად შეეფერებათ. მოსახლეობის უმეტესობა საქართველოში ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქალები ნაკლებს უნდა მუშაობდნენ და მეტ დროს უთმობდნენ ოჯახზე ზრუნვას (71%), და როცა დედა მუშაობს, ბავშვები ამას მძიმედ განიცდიან (69%). ამის საპირისპიროდ, მოსახლეობის მხოლოდ 16 პროცენტი ამბობს, რომ ბავშვები მძიმედ განიცდიან მამის მუშაობას და სახლში მის არყოფნას. ასევე, მოსახლეობის უმრავლესობა ეთანხმება, რომ ქართულ მედიაში კაცები, როგორც წესი, წარმოჩენილნი არიან, როგორც ოჯახის მარჩენლები, ლიდერები ან ბიზნესმენები (69%), ხოლო ქალები - როგორც ცოლები, დედები, აღმზრდელები ან დამხმარეები (64%). ქალები, ახალგაზრდები (35 წლამდე ასაკის პირები), დასაქმებულები და ეთნიკური ქართველები უფრო მეტად უჭერენ მხარს გენდერულ თანასწორობას, როცა საქმე დასაქმებას, თანაბარ ანაზღაურებას და სახლსა თუ სამუშაო ადგილზე როლებისა და პასუხისმგებლობების თანასწორ განაწილებას ეხება.

2. **მოსახლეობის აღქმით, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა სასარგებლოა, თუმცა, რთულად მისაღწევი.** მოსახლეობის უმრავლესობას (63%) სჯერა, რომ პოლიტიკაში ქალების ჩართულობის გაზრდა ქვეყანას სარგებელს მოუტანს, ხოლო 65 პროცენტი მიიჩნევს, რომ რაც მეტი ქალი იქნება საქართველოს პარლამენტში, მით მეტი გავლენა ექნებათ მათ პოლიტიკურ პრიორიტეტებსა და საჯარო პოლიტიკაზე. საქართველოში ყოველი მეორე ადამიანი (52%) ფიქრობს, რომ პოლიტიკაში ქალების რაოდენობის ზრდა დადებით გავლენას მოახდენს ქვეყანაზე. ამავდროულად, მოსახლეობის ორჯერ მეტი წილის წარმოდგენით, საქართველოში არჩევით თანამდებობაზე კენჭისყრა ქალებისთვის უფრო რთულია (22%), ვიდრე კაცებისთვის (11%). პოლიტიკაში ქალების ჩართვისთვის ყველაზე დიდ წინაღობად ოჯახური ვალდებულებები (49%) და ქალისა და კაცის როლებზე საზოგადოებაში არსებული შეხედულებები (27%) აღიქმება. ამ ტრადიციულ შეხედულებებს კვლევის შედეგებიც ადასტურებს, რომლის მიხედვითაც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის (57-72%) განცხადებით, ადამიანის სქესს მნიშვნელობა არ აქვს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის წევრის ან მერის თანამდებობაზე მისი კანდიდატურის განხილვისას. ისინი, ვინც რომელიმე სქესს უპირატესობას ანიჭებს, ყველა ამ თანამდებობაზე კაცს უფრო დაუჭერდა მხარს, ვიდრე ქალს. იმის საპირწონედ, რომ პოლიტიკაში ქალთა ჩართულობისთვის ყველაზე დიდ დაბრკოლებად ოჯახური ვალდებულებები და ოჯახზე ზრუნვა დასახელდა, საქართველოს მოსახლეობის (48%) თქმით, სწორედ ოჯახის მხარდაჭერას შეუძლია პოლიტიკაში მეტი ქალის ჩართულობის წახალისება. ოჯახის მხარდაჭერას მოსდევს კარგი ფინანსური რესურსები (22%) და საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის გაზრდა პოლიტიკაში ქალების ჩართვისთვის (21%). კაცებთან შედარებით, ქალებს უფრო მეტად სჯერათ, რომ პოლიტიკაში მეტი ქალის ჩართვა ქვეყანას სარგებელს მოუტანს. ხოლო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ეთნიკურად ქართველებზე უფრო ხშირად ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ, ზოგადად, კაცები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან, ვიდრე ქალები. გარდა ამისა, დედაქალაქის მაცხოვრებლებთან შედარებით, სოფელში მცხოვრებნი უფრო მეტი ალბათობით ამბობენ, რომ მათ დასახლებაში უმეტესობა მიიჩნევს, რომ, ზოგადად, კაცები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან, ვიდრე ქალები. ამ მხრივ მოსახლეობის ინდივიდუალურ დამოკიდებულებებსა და საზოგადოებაში არსებული ნორმების მათეულ აღქმას შორის გარკვეული განსხვავებაა. მოსახლეობის ნახევარი (50%) მიიჩნევს, რომ კაცები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან, ნახევარზე ოდნავ მეტის (58%) აზრით კი, ეს გავრცელებული მოსაზრებაა მათ დასახლებაში.

3. **მოსახლეობაში კვლავაც გავრცელებულია გენდერული სტერეოტიპები ოჯახური ცხოვრების შესახებ.** ყოველ მეორე ადამიანს (52%) სჯერა, რომ ოჯახში ბოლო სიტყვა კაცს ეკუთვნის და ბავშვის ზრუნვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა უფრო დედის პასუხისმგებლობაა, ვიდრე მამის. თანაც, აღსანიშნავია, რომ ამ ორივე დებულებას უფრო მეტი ქალი ეთანხმება, ვიდრე კაცი. ამ

მოსაზრებების გარდა, მოსახლეობის უმრავლესობა (56%) ეთანხმება იმას, რომ თუკი ბავშვი ავად გახდება, მის მოსავლელად სამსახურიდან დასვენების დღე დედამ უნდა აიღოს და არა მამამ. კვლევაში გამოჩნდა გარკვეული განსხვავება ინდივიდუალურ დამოკიდებულებებსა და, რესპონდენტების აღქმით, საზოგადოებაში არსებულ ნორმებს შორის. კერძოდ, გამოკითხულთა მხოლოდ 43 პროცენტი ეთანხმება ტრადიციულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ოჯახის მთავარი მარჩენალი კაცი უნდა იყოს, ხოლო ოჯახის მოვლა ქალის პასუხისმგებლობაა. თუმცა, უმრავლესობას (57%) მიაჩნია, რომ ამ შეხედულებას მათ დასახლებაში მცხოვრებთა უმრავლესობა იზიარებს.

4. **მოსახლეობის აღქმით, სხვადასხვა სოციალური ფაქტორიდან გამომდინარე დისკრიმინაცია კიდევ უფრო აღრმავებს უთანასწორობას.** გენდერული დისკრიმინაცია ცალკე მდგომი გამოცდილება არაა და მასზე გავლენას ახდენს სხვადასხვა სოციალური მახასიათებელი, როგორიცაა ეთნიკური კუთვნილება, სექსუალობა და შეზღუდული შესაძლებლობის ქონა. მართლაც, საქართველოს მოსახლეობის 47 პროცენტს მიაჩნია, რომ, ზოგადად, საქართველოში ქალისთვის რთულია პროფესიის მიხედვით დასაქმება. თუმცა, მოსახლეობის კიდევ უფრო მეტ წილს სჯერა, რომ პროფესიის მიხედვით დასაქმება უფრო რთულია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალისთვის (50%), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალისთვის (71%) და ლგბტქი+ პირებისთვის (61%), რაც იმაზე მიუთითებს, რომ გენდერული დისკრიმინაციის გავლენა შეიძლება, უფრო კომპლექსური და მწვავე იყოს იმ ადამიანებისთვის, ვინც რამდენიმე მარგინალიზებულ ჯგუფს მიეკუთვნება. იგივე ტენდენცია შეინიშნება იმ შემთხვევაშიც, როცა კითხვა კანდიდატის არჩევით თანამდებობაზე კენჭისყრას ეხება: თუკი მოსახლეობის მხოლოდ 22 პროცენტი ამბობს, რომ საქართველოში ქალების უმეტესობისთვის რთულია არჩევით თანამდებობაზე კენჭისყრა, მოსახლეობის ეს წილი 39 პროცენტამდე იზრდება, როცა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალზე ვეკითხებით, და 57%-მდე - როცა იმ ლგბტქი+ პირებზე ვეკითხებით, ვინც თავის სექსუალურ ორიენტაციას ან გენდერულ იდენტობას არ მალავს.

5. **მოსახლეობის უმრავლესობისთვის (82%) შვილის სქესს მნიშვნელობა არ აქვს,** მაშინაც კი, თუ ოჯახში მხოლოდ ერთი შვილია. თუმცა, მათ შორის, ვინც შვილის ყოლისას რომელიმე სქესს ანიჭებს უპირატესობას, 13 პროცენტს ურჩევნია ბიჭის ყოლა, ხოლო 5 პროცენტს - გოგოსი. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის დიდი უმრავლესობისთვის ერთი შვილის ყოლის შემთხვევაში ბავშვის სქესს მნიშვნელობა არ აქვს, განსხვავებულია მოსახლეობის მიერ აღქმული საზოგადოებრივი ნორმები. მთლიანი მოსახლეობის 38 პროცენტს, ქალთა 34 პროცენტსა და კაცთა 44 პროცენტს, მიაჩნია, რომ მათ დასახლებაში მცხოვრებთა უმეტესობა ერთი შვილის ყოლის შემთხვევაში ბიჭს უფრო მეტად მიანიჭებდა უპირატესობას, ვიდრე გოგოს.

6. **მოსახლეობის დამოკიდებულება ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ არაერთგვაროვანია.** მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილი (6%) ეთანხმება იმას, რომ არსებობს გარემოებები, როდესაც ადამიანს შეუძლია, დაარტყას საკუთარ ქმარს, ცოლს ან პარტნიორს, თითქმის ყოველ მეოთხე ადამიანს (23%) სჯერა, რომ ცოლ-ქმარს შორის ძალადობა მათი პირადი საქმეა და სხვები ამაში არ უნდა ჩაერიონ. საინტერესოა, რომ ამ მოსაზრებას უფრო მეტი კაცი ეთანხმება (28%), ვიდრე ქალი (19%). გარდა ამისა, საქართველოს მოსახლეობის აღქმით, კაცების უმრავლესობა უფრო მეტად არის დაცული ფიზიკური, გონებრივი თუ ფსიქოლოგიური ზიანისგან, როგორც საკუთარ სახლში (67%), ასევე საზოგადოებრივ ადგილებში (62%), ვიდრე ქალების უმრავლესობა (48% სახლში და 49% საზოგადოებრივ ადგილებში). მოსახლეობის აღქმით, საზოგადოებაში არსებული ნორმები ოჯახში ძალადობის გამართლებასა და მასში ჩარევასთან დაკავშირებით უფრო უარყოფითია ინდივიდუალურ დამოკიდებულებასთან შედარებით. თუკი მოსახლეობის 91 პროცენტი ამბობს, რომ არ არსებობს გარემოებები, როცა ადამიანმა შეიძლება პარტნიორს დაარტყას, ნაკლებს (78%) მიაჩნია, რომ მათ დასახლებაში ხალხის უმეტესობა იმავეს ფიქრობს. ამის მსგავსად, თუკი მოსახლეობის 74 პროცენტი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ცოლ-ქმარს შორის ძალადობა

პირადი საქმეა და სხვები არ უნდა ჩაერიონ, ნაკლებს (59%) სჯერა, რომ მათ დასახლებაში ხალხის უმეტესობა იზიარებს ამ მოსაზრებას.

7. **მოსახლეობის აღქმით, კაცებთან შედარებით, ქალები ნაკლებად აკონტროლებენ საკუთარ ცხოვრებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე მათ სექსუალურ ავტონომიას ეხება.** მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს (51%) სჯერა, რომ ქალების უმეტესობა განკარგავს საკუთარ ცხოვრებას, ხოლო უფრო მეტი წილი (65%) ეთანხმება იმავე მოსაზრებას კაცების უმეტესობის შესახებ. ამის მსგავსად, მოსახლეობის 82 პროცენტი ფიქრობს, რომ კაცების უმრავლესობა დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ ვისზე იქორწინოს, ხოლო ქალების შემთხვევაში მხოლოდ 69 პროცენტი ამბობს იმავეს. ქალები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები და განათლების დაბალ საფეხურზე მდგომი ადამიანები ნაკლები ალბათობით ამბობენ, რომ ქალები დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებას იმაზე, თუ ვისზე იქორწინონ. საინტერესოა, რომ მოსახლეობის 91 პროცენტი ეთანხმება იმას, რომ ქალებს თავისუფალი არჩევანის გაკეთების უფლება უნდა ჰქონდეთ იმასთან დაკავშირებით, თუ როდის და ვისზე დაქორწინდნენ, ნაკლები წილი (72%) მიიჩნევს, რომ მათ დასახლებაში მცხოვრებთა უმეტესობა იზიარებს ამ მოსაზრებას. გარდა ამისა, ადამიანის სექსუალური ავტონომია, მოსახლეობის აღქმით, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ადამიანის სქესზე. საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი (51%) ფიქრობს, რომ კაცისთვის ქორწინებამდე სქესობრივი კავშირის ქონა გამართლებულია, ხოლო ქალების შემთხვევაში მხოლოდ 30 პროცენტი ამბობს ამას. ქალებისთვის ქორწინებამდე სქესობრივ კავშირს რაც შეეხება, მოსახლეობის აღქმით, მათ დასახლებაში ხალხის უმეტესობას მათ პირად დამოკიდებულებაზე უფრო კონსერვატიული შეხედულებები აქვს. მხოლოდ 18 პროცენტი მიიჩნევს, რომ მათ დასახლებაში მცხოვრებთათვის მისაღებია ქორწინებამდე სქესობრივი კავშირი ქალებისთვის, მაშინ, როცა მოსახლეობის 31 პროცენტი ამართლებს ამას. მსგავსად ამისა, მხოლოდ 15 პროცენტს სჯერა, რომ მათ დასახლებაში მცხოვრებთათვის მისაღებია, თუკი ქალს ცხოვრების განმავლობაში რამდენიმე სექსუალური პარტნიორი ჰყავს, ხოლო 24% თავად მიიჩნევს, რომ ეს გამართლებულია. საინტერესოა, რომ, მოსახლეობის აღქმით, საზოგადოებაში არსებული ნორმები კაცებისთვის ქორწინებამდე სქესობრივი კავშირისა თუ ცხოვრების განმავლობაში რამდენიმე სექსუალური პარტნიორის შემთხვევაში ნაკლებად მკაცრია და უფრო შეესაბამება „რეალობას“ ან იმას, თუ რა დამოკიდებულებას ამჟღავნებს მოსახლეობა ინდივიდუალურად.

8. **მოსახლეობის აღქმით, კაცები უფრო მეტად აკონტროლებენ პირად და ოჯახის ფინანსებს, ვიდრე ქალები.** საქართველოს მოსახლეობის უფრო მეტი წილი მიიჩნევს, რომ კაცების უმრავლესობას საკუთარ ფინანსებზე უფრო დიდი კონტროლი აქვს (67%), ვიდრე ქალებს (58%). ამასთან, იმის მიუხედავად, რომ უმრავლესობას (70%) სჯერა, რომ მათ დასახლებაში კაცები და ქალები თანაბრად წყვეტენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა სესხის აღება ან ქონების ჩადება სესხის უზრუნველსაყოფად, ყოველი მეხუთე ადამიანი (18%) მიიჩნევს, რომ მათ დასახლებაში ასეთ საკითხებს, ძირითადად, კაცები წყვეტენ. ამის მსგავსად, მართალია საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა (79%) ამბობს, რომ მემკვიდრეობა თანაბრად უნდა გაინაწილონ გოგომ და ბიჭმა მემკვიდრეებმა, ყოველი მეხუთე (19%) მიიჩნევს, რომ მემკვიდრეობა მხოლოდ ბიჭმა უნდა მიიღოს. შეინიშნება ტენდენცია, რომ მემკვიდრეობის გენდერულად თანასწორად განაწილებას ქალები, ეთნიკურად ქართველები და ქალაქში მცხოვრებნი უფრო მეტად უჭერენ მხარს, ხოლო ტრადიციული შეხედულებები იმაზე, რომ მემკვიდრეობა კაცს უნდა ერგოს, უფრო გავრცელებულია სხვა ჯგუფებში. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობის (79%) აზრით, მემკვიდრეებმა სამკვიდრო ქონება, სქესის მიუხედავად, თანაბრად უნდა გაინაწილონ, მოსახლეობის 46 პროცენტს მიაჩნია, რომ მათ დასახლებაში ხალხი მემკვიდრეობის მეტი წილის ბიჭისთვის გადაცემას უჭერს მხარს. თბილისს გარეთ მცხოვრებნი, უფროსი ასაკის ადამიანები და დაუსაქმებლები უფრო მაღალი ალბათობით მიიჩნევენ, რომ საზოგადოებაში ამ მხრივ ჯერ კიდევ ტრადიციული და დისკრიმინაციული შეხედულებებია გავრცელებული.

9. **საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (88%) არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ბიჭისთვის უფრო მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო განათლების მიღება, ვიდრე გოგოსთვის. თუმცა, ფიქრობენ, რომ მათი დასახლების მაცხოვრებელთა უმეტესობას ამ საკითხზე უფრო კონსერვატიული შეხედულება აქვს.** მხოლოდ მოსახლეობის 69% ამბობს, რომ მათ დასახლებაში მცხოვრებთა უმეტესობა იზიარებს მათ შეხედულებას. გარდა ამისა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფრო მეტი წილი (30%) ამბობს, რომ დასახლებაში, სადაც ისინი ცხოვრობენ, ბიჭისთვის უფრო მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო განათლების მიღება, ვიდრე გოგოსთვის, ვიდრე ეთნიკურად ქართველები (13%).

10. **მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (73%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქალებისთვის მნიშვნელოვანია ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებულ მომსახურებებზე წვდომა, არაერთგვაროვანია მათი გამოხმაურება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორია ქვეყანაში არსებული მომსახურებების ხარისხი.** მოსახლეობის მეოთხედზე მეტი (26%) ამბობს, რომ ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებული მომსახურება ძალიან კარგია, ხოლო მოსახლეობის 30 პროცენტი აღნიშნავს, რომ ეს მომსახურება მხოლოდ დამაკმაყოფილებელია. კაცებს ნაკლებად აქვთ ინფორმაცია ოჯახის დაგეგმვის მომსახურებებზე, ვიდრე ქალებს. ეთნიკურად ქართველებთან და ქალებთან შედარებით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები და კაცები უფრო მაღალი ალბათობით ირჩევენ პასუხს „არ ვიცი“ და ნაკლებად ეთანხმებიან იმას, რომ ქალებისთვის მნიშვნელოვანია ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებულ მომსახურებებზე წვდომა.

11. **გამოკითხვის შედეგების თანახმად, ქალები, ახალგაზრდები, დასაქმებული პირები და უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები ემხრობიან გენდერულ თანასწორობას და მხარს უჭერენ ქალთა გაძლიერებას.** კაცებს, უფროსი ასაკის ადამიანებს, სოფლად მცხოვრებთ და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს უფრო ტრადიციული და კონსერვატიული შეხედულებები აქვთ. კაცებთან შედარებით, ქალები ნაკლები ალბათობით უჭერენ მხარს გენდერულ სახელფასო სხვაობას და დისკრიმინაციულ გენდერულ როლებს სამსახურში. ასევე, ქალებს ნაკლებად სჯერათ, რომ კაცები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან, ვიდრე ქალები, და რომ ძალადობა ქმარსა და ცოლს შორის პირადი საქმეა და სხვები ამაში არ უნდა ჩაერიონ. ეთნიკურად ქართველებთან შედარებით, ეთნიკური უმცირესობები უფრო მაღალი ალბათობით უჭერენ მხარს გენდერულ სახელფასო სხვაობას და დისკრიმინაციულ გენდერულ როლებს. ასევე, უფრო მაღალი ალბათობით მიაჩნიათ, რომ კაცები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან, ვიდრე ქალები. მათ შემთხვევაში უფრო მაღალია ალბათობა, რომ არ ამართლებდნენ ქალისთვის ქორწინებამდე სქესობრივ კავშირს. ოცდათხუთმეტ წელს გადაცილებულ ადამიანებს უფრო კონსერვატიული შეხედულებები აქვთ გენდერული როლების, სამუშაო ანაზღაურებისა და ოჯახური პასუხისმგებლობების შესახებ, ვიდრე ახალგაზრდებს. დასაქმებულები და უმაღლესი განათლების მქონე პირები უფრო მეტად უჭერენ მხარს გენდერულ თანასწორობას სამუშაო ადგილზე და არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ქალებმა ოჯახზე ზრუნვა ანაზღაურებად სამუშაოზე მაღლა უნდა დააყენონ. ამასთან, ისინი ნაკლებად ეთანხმებიან იმას, რომ არსებობს გარემოებები, როცა მეუღლეს ან პარტნიორს შეიძლება, დაარტყა, მათთან შედარებით, ვინც არ მუშაობს ან განათლების უფრო დაბალ საფეხურზე დგას. ეთნიკურად ქართველებს, ახალგაზრდებსა და თბილისის მაცხოვრებლებს უფრო პროგრესული შეხედულებები აქვთ ქორწინებასა და ოჯახურ პასუხისმგებლობებზე. ამის საპირისპიროდ, კაცები, 35 წელს გადაცილებული პირები, სხვა ქალაქებისა და სოფლების მაცხოვრებლები და ასევე უმუშევრები უფრო ხშირად ფიქრობენ, რომ ბავშვებზე ზრუნვა დედის უპირველესი პასუხისმგებლობაა. ქალებს, ახალგაზრდებს, თბილისის მაცხოვრებლებსა და დასაქმებულებს მშობლების პასუხისმგებლობებზე უფრო თანასწორი შეხედულებები აქვთ.

საქართველოში მოსახლეობის ინდივიდუალურ დამოკიდებულებებსა და სოციალურ ნორმებს შორის არსებული განსხვავებების თვალსაჩინოებისთვის იხილეთ მომდევნო გვერდზე მოცემული დიაგრამა.

საქართველოს მოსახლეობის ინდივიდუალური დამოკიდებულებები და სოციალური ნორმები ("ვეთანხმები" პასუხების პროცენტი)



გენდერული მიკერძოებულობა გავრცელებულია ცხოვრების ყველა სფეროში[1]

დასქმება

75% არსებობს პროფესიები, რომელთა შესრულებაც ქალებს არ შეუძლიათ

71% ქალები ნაკლებს უნდა მუშაობდნენ და მეტ დროს უთმობდნენ ოჯახზე ზრუნვას

69% როცა დედა მუშაობს, ბავშვები მძიმედ განიცდიან

54% სამუშაო მომსახურების სფეროში (მაგ.: სამედიცინო და ადმინისტრაციული საქმე, დასუფთავება) უფრო მეტად ქალებს შეეფერება

52% ბუნებრივია, რომ კაცები უფრო მეტს გამოიმუშავებენ, ვიდრე ქალები, რადგან ისინი უნდა იყვნენ ოჯახში მთავარი შემომტანები

48% როცა სამუშაო ადგილები მწირია, კაცების დასაქმება უფრო სწორია, ვიდრე ქალების

42% კაცის საქმე ფულის შოვნაა, ქალის საქმე კი სახლსა და ოჯახზე ზრუნვა

38% ზოგადად, კაცები უკეთესი ბიზნესმენები არიან, ვიდრე ქალები

32% სამუშაო გარემოში ქალები ნაკლებად თავდაჯერებულები არიან, ვიდრე კაცები

17% ცოლი ქმარზე მეტს არ უნდა გამოიმუშავებდეს

15% ერთი და იგივე სამუშაოსთვის კაცები უფრო მეტ ხელფასს უნდა იღებდნენ, ვიდრე ქალები

პოლიტიკური მონაწილეობა

65% კაცებს შეუძლიათ სათანადოდ წარმოაჩინონ ქალების ინტერესი პოლიტიკაში

50% ზოგადად, კაცები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან, ვიდრე ქალები

ოჯახი

52% ოჯახში ბოლო სიტყვა კაცს ეკუთვნის

52% საფენების გამოცვლა, ბავშვების დაბანა და ბავშვების კვება უფრო დედის პასუხისმგებლობაა, ვიდრე მამის

40% ოჯახის შესანარჩუნებლად ცოლმა ბევრი რამ უნდა აიტანოს ქმრისგან

18% ქალისთვის მარტოობას ცუდ ქორწინებაში ყოფნა სჯობს

ძალადობა



68% ქალები ყურადღებას იქცევენ თავიანთი ჩაცმულობის გამო

23% ცოლ-ქმარს შორის ძალადობა პირადი საქმეა და სხვები არ უნდა ჩაერიონ

17% ნორმალურია, როდესაც სამსახურში კაცები საუბრობენ ქალი კოლეგების გარეგნობაზე

8% ქალს თავისუფლად უნდა შეეძლოს უარი თქვას ქმართან/პარტნიორთან სექსზე (არ ვეთანხმები)

6% არსებობს გარემოებები, როდესაც ადამიანს შეუძლია დაარტყას საკუთარ მეუღლეს / პარტნიორს

1 შესავალი



დიდი ძალისხმევის მიუხედავად, გენდერული თანასწორობა, რაც ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და რომელიც მდგრადი განვითარებისა და მშვიდობიანი საზოგადოებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, მსოფლიოში მიუღწეველი რჩება. კვლავ გრძელდება გენდერული სტერეოტიპების ფორმირება, რომლებსაც ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია (CEDAW) გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერებისთვის მნიშვნელოვან ბარიერს უწოდებს. დისკრიმინაციული სოციალური ნორმები არა მარტო ხელს უშლის გენდერულ თანასწორობას, არამედ ხალხთა სოციალურ, ეკონომიკურ და მდგრად განვითარებას აფერხებს მთელ მსოფლიოში.

გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულების კვლევა (GEAS) მიზნად ისახავდა იმის გაზომვას, თუ რამდენად გავრცელებულია საქართველოში დისკრიმინაციული დამოკიდებულებები და გენდერული სტერეოტიპები, რაც გენდერულ უთანასწორობას უწყობს ხელს. კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და გაეროს გენდერული თანასწორობის უწყების „ანსთერეოთაიფ ალიანსის“ გამოკითხვას გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულების შესახებ, რომელიც რეგულარულად ტარდება ოც ქვეყანაში.[2] გამოკითხვა, რომელიც საქართველოს კონტექსტსაა მორგებული, გენდერული ნორმებისა და სტერეოტიპების თვალსაზრისით ათ საკვანძო ინტერესის სფეროს ეხება[3]:

განათლება

სამსახური და დასაქმება

ლიდერობა და მონაწილეობა

ქორწინება და ოჯახური ცხოვრება

უსაფრთხოება და ძალადობა

ჯანდაცვა

საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლი

პირად ფინანსებზე კონტროლი

ფიზიკურ ქონებაზე წვდომა

მომავლის იდეალები

კვლევა გენდერული უთანასწორობის ხელშემწყობი ფაქტორების კომპლექსურ გაგებას გვთავაზობს. სწორედ ამისთვის, ინდივიდუალურ დამოკიდებულებებთან ერთად კვლევაში ჩართულია კითხვები სოციალური ნორმების აღქმის შესახებ. სოციალური ნორმები ასახავს ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ რა არის ჩვეული და მისაღები კონკრეტულ სოციალურ ჯგუფში, ხოლო დამოკიდებულებები გულისხმობს ადამიანების მოსაზრებებისა და ქცევის ინდივიდუალურ შეფასებებს. სოციალური ნორმები შეიძლება, გავლენას ახდენდეს ქცევაზე მაშინაც კი, როცა საწინააღმდეგო დამოკიდებულებები არსებობს, ამიტომაც მათ შესწავლას ისეთივე საკვანძო მნიშვნელობა აქვს, როგორც პერსონალური დამოკიდებულებების კვლევას.[4]

ამ კვლევის მიგნებები მიზნად ისახავს, ინფორმაცია მიაწოდოს საჯარო პოლიტიკის მესვეურებს, დონორებს, აკადემიური წრეების წარმომადგენლებს, კერძო სექტორის ლიდერებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და გადაწყვეტილების მიმღებ სხვა პირებს იმაზე, თუ რამდენად გავრცელებულია საქართველოში დისკრიმინაციული დამოკიდებულებები და ნორმები, რაც გენდერული უთანასწორობის განმტკიცებას უწყობს ხელს.

ანგარიშის სტრუქტურა შემდეგნაირია: მომდევნო ნაწილში აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია. შემდეგ კი მოცემულია კვლევის შედეგები, რომლებიც ცხრა სექციადაა დაყოფილი. თითოეული სექცია აანალიზებს დამოკიდებულებებსა და გენდერულ სტერეოტიპებს კონკრეტულ სფეროში. ეს სფეროებია - განათლება, სამსახური და დასაქმება, ლიდერობა და მონაწილეობა, ქორწინება და ოჯახური ცხოვრება, უსაფრთხოება და ძალადობა, ჯანდაცვა, კონტროლი საკუთარ ცხოვრებაზე, კონტროლი პირად ფინანსებზე და ფიზიკურ ქონებაზე წვდომა და, საბოლოოდ, მომავლის იდეალები.

კვლევა ჩაატარა CRRC-საქართველომ შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ მხარდაჭერილი პროექტის „ქალთა ლიდერობა დემოკრატიისთვის საქართველოში“ ფარგლებში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის დაკვეთით.

2 მეთოდოლოგია



გამოკითხვის საველე სამუშაოებს CRRC-საქართველო 2024 წლის 20 იანვრიდან 19 თებერვლამდე პერიოდში აწარმოებდა. კვლევაში რესპონდენტების შერჩევა მრავალსაფეხურიანი სტრატიფიცირებული კლასტერული მეთოდით განხორციელდა. საერთო ჯამში, საქართველოში მცხოვრებ 16 წლის და უფროსი ასაკის 1,238 ადამიანი გამოიკითხა. გამოკითხვის გამოპასუხების დონე 21 პროცენტია, რაც ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული მოსახლეობის კვლევებისთვის ჩვეული მაჩვენებელია და მონაცემების სანდოობაზე გავლენას არ ახდენს. საშუალოდ, თითო ინტერვიუს ჩატარებას ხუთი მცდელობა დასჭირდა. გამოკითხვა ჩატარდა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ყველა ინტერვიუ ჩატარდა კომპიუტერის გამოყენებით პირისპირ გამოკითხვის (CAPI) მეთოდით. წარმოდგენილი კვლევის შედეგები ეფუძნება 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით შეწონილ მონაცემებს. შედეგები საქართველოს მოსახლეობის (16 წლის და უფროსი ასაკის), ასევე თბილისის, სხვა ქალაქებისა და სოფლის ტიპის დასახლებების წარმომადგენლობითია. კვლევის საშუალო ცდომილების ზღვარი 2.9 პროცენტია. ცხრილში 2.1 წარმოდგენილია გამოკითხული რესპონდენტების დემოგრაფიული პროფილი.

ცხრილი 3.1

გამოკითხული რესპონდენტების დემოგრაფიული პროფილი (შეუწონავი მონაცემები)

დემოგრაფიული მახასიათებლები		პროცენტული მაჩვენებლები
სქესი	ქალი	67
	კაცი	33
ასაკობრივი ჯგუფები	16–24	9
	25–34	13
	35–44	16
	45–54	15
	55+	48
დასახლების ტიპი	დედაქალაქი (თბილისი)	41
	სხვა ქალაქები	31
	სოფლები	28
ეთნიკური კუთვნილება	ქართველი	92
	სომეხი	3
	აზერბაიჯანელი	2
	სხვა	3
განათლება	საშუალო ან უფრო დაბალი	37
	პროფესიული	23
	სრული ან არასრული უმაღლესი განათლება	40
დასაქმების სტატუსი	უმუშევარი	41
	დასაქმებული	59

მონაცემების ანალიზისთვის CRRC-საქართველომ აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკური ანალიზის მეთოდებს მიმართა. ჯგუფებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებების იდენტიფიცირებისათვის კვლევაში გამოყენებულია ბინარული და მულტინომიალური რეგრესიული მოდელები, რომელშიც საკონტროლო ცვლადები მოიცავს რესპონდენტების ძირითად დემოგრაფიულ მახასიათებლებს: სქესს, ასაკს, დასახლების ტიპს, ეთნიკურ კუთვნილებას, დასაქმების სტატუსსა და მიღებული განათლების დონეს. დამრგვალებასთან დაკავშირებული ცდომილების გამო, დიაგრამებსა და ცხრილებში მოცემული პროცენტული მაჩვენებლები შეიძლება, ზუსტად 100 პროცენტად არ ჯამდებოდეს.

3 კვლევის მიგნებები

3.1 განათლება

საქართველოს მოსახლეობაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ხარისხიან განათლებაზე წვდომა ქალებისა და კაცების უმრავლესობისთვის ისევე, როგორც თავად რესპონდენტებისთვის, თანაბარი და შედარებით მარტივია.

ქალებისა და კაცების 62 პროცენტი ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქალებისთვის ადვილია ხარისხიანი განათლების მიღება (დიაგრამა 3.1). ოდნავ უფრო მეტს - მოსახლეობის 66%-ს და ქალების 67%-ს კი მიაჩნია, რომ განათლების მიღება კაცებისთვის უფრო მარტივია, რასაც კაცების 64 პროცენტი ეთანხმება. კაცებთან (61%) შედარებით, ნაკლებ ქალს (56%) ჰგონია, რომ პირადად მისთვის, საქართველოში ხარისხიან განათლებაზე წვდომა მარტივია.

დიაგრამა 3.1

ზოგადად, რამდენად მარტივია ან რთულია საქართველოში განათლების მიღება ქალების უმრავლესობისთვის/კაცების უმრავლესობისთვის/თქვენთვის? (პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: თერთმეტქულიანი სკალა დაჯგუფდა სამ კატეგორიად: ქულები 0-3 გაერთიანდა კატეგორიაში „რთული“, ქულები 4-6 - კატეგორიაში „ნეიტრალური“, ხოლო ქულები 7-10 - კატეგორიაში „მარტივი“.

მოსახლეობის უმრავლესობა (88%) არ ეთანხმება შემდეგ მოსაზრებას - ბიჭისთვის უფრო მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო განათლების მიღება, ვიდრე გოგოსთვის. ამ მოსაზრებას ქალების ოდნავ მეტი წილი (90%) არ ეთანხმება, კაცებთან (87%) შედარებით (დიაგრამა 3.2).

ამ საკითხზე რესპონდენტების მიერ აღქმული სოციალური ნორმები მხოლოდ მცირედით განსხვავდება მათი პირადი დამოკიდებულებებისგან. კვლევის შედეგების თანახმად, შედარებით მაღალია იმ მოსახლეობის წილი (15%), ვისაც მიაჩნია, რომ საზოგადოებაში გავრცელებულია სოციალური ნორმა, რომ საუნივერსიტეტო განათლება ბიჭისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გოგოსთვის, რესპონდენტების პირად მოსაზრებასთან (12%) შედარებით. ამ მოსაზრებას ქალები (73%) უფრო მეტად არ ეთანხმებიან, ვიდრე კაცები (66%).

დიაგრამა 3.2

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას:

შენიშვნა: ოთხქულიანი სკალა დაჯგუფდა ორ კატეგორიად: პასუხები „სრულად ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“ გაერთიანდა კატეგორიაში „ვეთანხმები“, ხოლო პასუხები „არ ვეთანხმები“ და „საერთოდ არ ვეთანხმები“ - კატეგორიაში „არ ვეთანხმები“.

დემოგრაფიული ფაქტორები, როგორიცაა დასაქმების სტატუსი, ასაკი, ეთნიკური კუთვნილება და დასახლების ტიპი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს განათლების წვდომასთან დაკავშირებით არსებულ ინდივიდუალურ შეხედულებებზე.[5] უმუშევარი მოსახლეობა და 35-44 წლის ადამიანები ნაკლები ალბათობით ამბობენ, რომ ქალებისთვის ხარისხიანი განათლების მიღება მარტივია, დასაქმებულებთან და ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებთან შედარებით. ეთნიკური უმცირესობები, ქალაქებში მცხოვრებნი და დასაქმებულები მიიჩნევენ, რომ ხარისხიანი განათლების მიღება საქართველოში კაცებისთვის უფრო მარტივია, ეთნიკურად ქართველ მოსახლეობასთან, დედაქალაქის ბინადრებთან და უმუშევარ ადამიანებთან შედარებით.

საინტერესოა, რომ, ეთნიკურად ქართველებთან (13%) შედარებით, ეთნიკური უმცირესობის მეტი წილი (30%) ამბობს, რომ მათ გარშემო უმეტესობა მიიჩნევს, რომ ბიჭისთვის უფრო მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო განათლების მიღება, ვიდრე გოგოსთვის (დიაგრამა 3.3).[6]

დიაგრამა 3.3

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: ბიჭისთვის უფრო მნიშვნელოვანია უმაღლესი/საუნივერსიტეტო განათლების მიღება, ვიდრე გოგოსთვის. (პროცენტული მაჩვენებლები, რესპონდენტის ეთნიკური კუთვნილების მიხედვით)



შენიშვნა: ოთხქულიანი სკალა დაჯგუფდა ორ კატეგორიად: პასუხები „სრულად ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“ გაერთიანდა კატეგორიაში „ვეთანხმები“, ხოლო პასუხები „არ ვეთანხმები“ და „საერთოდ არ ვეთანხმები“ - კატეგორიაში „არ ვეთანხმები“.

3.2 სამსახური და დასაქმება

საერთო ჯამში, საქართველოს მოსახლეობა ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოში პროფესიის მიხედვით დასაქმება რთულია, მიუხედავად სქესისა, ეთნიკური კუთვნილებისა, შეზღუდული შესაძლებლობების ქონისა თუ სექსუალური ორიენტაციისა. ამ მხრივ რესპონდენტების სქესის მიხედვით მოსაზრებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება.

საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე ოდნავ ნაკლებს (47%) სჯერა, რომ ქალების უმეტესობისთვის რთულია პროფესიის მიხედვით დასაქმება (დიაგრამა 3.4). ამაზე მცირე ნაწილს კი (41%) მიაჩნია, რომ ეს კაცების უმეტესობის შემთხვევაშიც ასეა. ქალები და კაცები ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ქალების უმეტესობისთვის რთულია პროფესიის მიხედვით დასაქმება (49% და 45%, შესაბამისი თანმიმდევრობით).

საკუთარ გამოცდილებაზე საუბრისას, მოსახლეობის 39 პროცენტი ამბობს, რომ მათთვის პროფესიის მიხედვით დასაქმება რთულია. ამ მოსაზრებას უფრო მეტი კაცი (42%) იზიარებს, ვიდრე ქალს (36%).

საზოგადოება უმეტესად ეთანხმება მოსაზრებას, რომ პროფესიის მიხედვით დასაქმება რთულია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალებისა და კაცებისთვის (50% და 46%, შესაბამისი თანმიმდევრობით), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და კაცებისთვის (71% და 70%, შესაბამისი თანმიმდევრობით) და ლგბტქი+ პირებისთვის (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ქვიარ ან ინტერსექსუალი), ვინც საკუთარ ორიენტაციას არ მალავს (61%).

დიაგრამა 3.4

ზოგადად, რამდენად მარტივია ან რთულია საქართველოში პროფესიის მიხედვით დასაქმება ქალების უმრავლესობისთვის /კაცების უმრავლესობისთვის / თქვენთვის / ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის / ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი კაცებისთვის / შშმ ქალებისთვის / შშმ კაცებისთვის / სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი (ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი ან ინტერსექსუალი) ქალებისთვის, ვინც თავის სექსუალურ ორიენტაციას არ მალავს / სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი (გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი ან ინტერსექსუალი) კაცებისთვის, ვინც თავის სექსუალურ ორიენტაციას არ მალავს? (პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: თერთმეტქულიანი სკალა დაჯგუფდა სამ კატეგორიად: ქულები 0-3 გაერთიანდა კატეგორიაში „რთული“, ქულები 4-6 - კატეგორიაში „ნეიტრალური“, ხოლო ქულები 7-10 - კატეგორიაში „მარტივი“..

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (83%) ეთანხმება იმას, რომ ანაზღაურებადი სამუშაო საუკეთესო საშუალებაა ქალისთვის, რომ იყოს დამოუკიდებელი (დიაგრამა 3.5). ამ მოსაზრებას უფრო მეტი ქალი (90%) ეთანხმება, ვიდრე კაცი (75%). თუმცა, მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი (48%) ეთანხმება იმას, რომ როდესაც სამუშაო ადგილები მწირია, კაცების დასაქმება უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე ქალების. ამ მოსაზრებას კაცების 52 პროცენტი და ქალების 44 პროცენტი უჭერს მხარს. ამასთან, მოსახლეობის უმრავლესობა (75%), როგორც ქალები, ასევე კაცები ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ არსებობს პროფესიები, რომელთა შესრულებაც ქალებს არ შეუძლიათ, ხოლო 54 პროცენტს მიაჩნია, რომ მომსახურების სფეროში სამუშაო უფრო მეტად ქალებს შეეფერება. აღსანიშნავია, რომ მომსახურების სფეროში დასაქმება უფრო მეტად ქალებისთვის შესაფერისად კაცების მეტ წილს - 62%-ს და ქალების მხოლოდ 48 პროცენტს მიაჩნია. მოსახლეობის მესამედი (32%), როგორც ქალები, ასევე კაცები, მიიჩნევენ, რომ სამუშაო გარემოში ქალები ნაკლებად თავდაჯერებულები არიან, ვიდრე კაცები.

დიაგრამა 3.5

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ მოსაზრებას. (დიაგრამაზე წარმოდგენილია „ვეთანხმები“ პასუხების პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: ოთხქულიანი სკალა დაჯგუფდა ორ კატეგორიად: პასუხები „სრულად ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“ გაერთიანდა კატეგორიაში „ვეთანხმები“, ხოლო პასუხები „არ ვეთანხმები“ და „საერთოდ არ ვეთანხმები“ - კატეგორიაში „არ ვეთანხმები“.

მოსახლეობის უმრავლესობა (71%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქალები ნაკლებს უნდა მუშაობდნენ და მეტ დროს უთმობდნენ ოჯახს (დიაგრამა 3.6). ამ მოსაზრებას მეტი კაცი ეთანხმება (77%), ვიდრე ქალი (66%). გარდა ამისა, მოსახლეობის ნახევარზე მცირედით მეტი (52%) ეთანხმება, რომ ბუნებრივია, რომ კაცები უფრო მეტს გამოიმუშავებენ, ვიდრე ქალები, რადგან ისინი უნდა იყვნენ ოჯახში მთავარი შემომტანები. ამ მოსაზრებას უფრო მეტი კაცი ეთანხმება (57%), ვიდრე ქალი (48%).

ამასთან, მოსახლეობის 69 პროცენტს მიაჩნია, რომ როცა დედა მუშაობს, ბავშვები მძიმედ განიცდიან, და მხოლოდ 16 პროცენტი ეთანხმება მოსაზრებას, რომ ბავშვები მძიმედ მამის მუშაობას განიცდიან. საინტერესოა, რომ ქალების 71 პროცენტი ეთანხმება მოსაზრებას, რომ როცა დედა მუშაობს, ბავშვები მძიმედ განიცდიან, კაცების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 66 პროცენტია. ამის საპირისპიროდ, მამების შესახებ მოსაზრებას კაცების მეტი - 19 პროცენტი და ქალების მხოლოდ 13 პროცენტი ეთანხმება.

მთლიანი მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილი, როგორც ქალები, ასევე კაცები, ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ კაცის საქმე ფულის შოვნაა (42%), ცოლი ქმარზე მეტს არ უნდა გამოიმუშავებდეს (17%), და ერთი და იგივე სამუშაოსთვის კაცები უფრო მეტ ხელფასს უნდა იღებდნენ, ვიდრე ქალები (15%).

დიაგრამა 3.6

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ მოსაზრებას. (დიაგრამაზე წარმოდგენილია „ვეთანხმები“ პასუხების პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: ოთხქულიანი სკალა დაჯგუფდა ორ კატეგორიად: პასუხები „სრულად ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“ გაერთიანდა კატეგორიაში „ვეთანხმები“, ხოლო პასუხები „არ ვეთანხმები“ და „საერთოდ არ ვეთანხმები“ - კატეგორიაში „არ ვეთანხმები“.

რეგრესიული ანალიზის თანახმად, ქალები და ეთნიკურად ქართველები ნაკლები ალბათობით უჭერენ მხარს გენდერულ სახელფასო სხვაობასა და დისკრიმინაციულ გენდერულ როლებს, კაცებთან და ეთნიკურ უმცირესობებთან შედარებით. ისინი უფრო მეტად ემხრობიან გენდერულ თანასწორობას სამსახურის შესაძლებლობების, ანაზღაურებისა და ოჯახსა და სამსახურში გენდერული როლების აღქმის კუთხით. გარდა ამისა, დასაქმებულები (მათი სქესის მიუხედავად) ნაკლებად ემხრობიან ტრადიციულ გენდერულ როლებსა და სტერეოტიპებს, ვიდრე უმუშევრები. დასაქმებულები უფრო მეტად უჭერენ მხარს გენდერულ თანასწორობას სამუშაო ადგილზე და არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ქალებს ნაკლებად შეუძლიათ რაიმე სამუშაოს შესრულება, ან რომ ქალებმა ანაზღაურებად სამუშაოს ოჯახზე ზრუნვა უნდა ამჯობინონ.[7]

ოცდათხუთმეტ წელს გადაცილებულ მოსახლეობას უფრო ტრადიციული შეხედულებები აქვს გენდერული როლების, ანაზღაურებისა და ოჯახში პასუხისმგებლობების შესახებ, ვიდრე ახალგაზრდა თაობებს (დიაგრამა 3.7). უფროსი ასაკის ადამიანები მეტად უჭერენ მხარს გენდერული როლების ტრადიციულ განაწილებას, სადაც კაცის საქმე ფულის შოვნაა, ხოლო ქალის საქმე - სახლსა და ოჯახზე ზრუნვა.[8]

დიაგრამა 3.7

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: კაცის საქმე ფულის შოვნაა; ქალის საქმე კი - სახლსა და ოჯახზე ზრუნვა. (პროცენტული მაჩვენებლები, რესპონდენტების ასაკის მიხედვით)



შენიშვნა: ოთხქულიანი სკალა დაჯგუფდა ორ კატეგორიად: პასუხები „სრულად ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“ გაერთიანდა კატეგორიაში „ვეთანხმები“, ხოლო პასუხები „არ ვეთანხმები“ და „საერთოდ არ ვეთანხმები“ - კატეგორიაში „არ ვეთანხმები“.

ზოგ შემთხვევაში საქართველოს მოსახლეობა მიიჩნევს, რომ ტრადიციული გენდერული როლები საზოგადოებაში უფრო გავრცელებულია, ვიდრე ეს რესპონდენტების პირად შეხედულებებში ჩანს, ზოგჯერ კი პირიქითაა. შესამჩნევია კონტრასტი პირად და, რესპონდენტების აზრით, საზოგადოების მოსაზრებებში ქალებისა და კაცების როლების შესახებ დასაქმებისა და ოჯახზე ზრუნვის საკითხებში.

პირადი მოსაზრებით, უმცირესობა (42%) ეთანხმება, რომ კაცის საქმე ფულის შოვნაა, ქალის საქმე კი - სახლსა და ოჯახზე ზრუნვა. მეორე მხრივ, უმრავლესობა (57%) მიიჩნევს, რომ საზოგადოება ამ მოსაზრებას უჭერს მხარს (დიაგრამა 3.8). გარდა ამისა, 38 პროცენტს სჯერა, რომ კაცები უკეთესი ხელმძღვანელები არიან, ხოლო 45 პროცენტი ამბობს, რომ მათ თემში უმეტესობა ეთანხმება ამ მოსაზრებას.

დიაგრამა 3.8

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ მოსაზრებას. (დიაგრამაზე წარმოდგენილია „ვეთანხმები“ პასუხების პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: ოთხქულიანი სკალა დაჯგუფდა ორ კატეგორიად: პასუხები „სრულად ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“ გაერთიანდა კატეგორიაში „ვეთანხმები“, ხოლო პასუხები „არ ვეთანხმები“ და „საერთოდ არ ვეთანხმები“ - კატეგორიაში „არ ვეთანხმები“.

სხვა მოსაზრებების შემთხვევაში პირადი დამოკიდებულება და, რესპონდენტების აღქმით, არსებული სოციალური ნორმები სხვადასხვაგვარია. ზოგჯერ ეს ორი ერთმანეთს ემთხვევა, ზოგჯერ კი - განსხვავდება ერთმანეთისგან. მოსახლეობის ინდივიდუალური ღირებულებები გენდერული როლების შესახებ შეიძლება, სხვადასხვაგვარი იყოს. ამავდროულად, ყოველგვარი თანმიმდევრულობის გარეშე, მათი აზრით, საზოგადოების აზრი ემთხვევა ან განსხვავდება მათი შეხედულებისგან.

რეგრესიული ანალიზის თანახმად, რესპონდენტების აღქმით, სოციალური ნორმები განსხვავებულია დასახლების ტიპის, დასაქმების სტატუსისა და ასაკის მიხედვით. მაგალითად, სოფლებში მცხოვრებნი, უფროსი ასაკის ადამიანები და უმუშევრები უფრო მეტი ალბათობით ამბობენ, რომ მათ თემში ხალხს გენდერული როლებისა და პასუხისმგებლობების შესახებ ტრადიციული დისკრიმინაციული შეხედულებები აქვთ.[9]

საერთო ჯამში, დემოგრაფიული მახასიათებლები, როგორიცაა: სქესი, ასაკი, ეთნიკური კუთვნილება, დასახლების ტიპი, განათლების დონე და დასაქმების სტატუსი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის ინდივიდუალურ წარმოდგენებზე გენდერული ნორმებისა და სამსახურსა და დასაქმებასთან დაკავშირებული სტერეოტიპების შესახებ. შეინიშნება ტენდენცია, რომ ქალები (დიაგრამა 3.9), ახალგაზრდები, დასაქმებულები და უმაღლესი განათლების მქონენი უფრო პროგრესულ მოსაზრებებს ამჟღავნებენ, ხოლო უფროსი ასაკის ადამიანებს, სოფლებში მცხოვრებთ და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს უფრო ტრადიციული შეხედულებები აქვთ გენდერული როლებისა და სტერეოტიპების შესახებ.[10]

დიაგრამა 3.9

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ მოსაზრებას. (დიაგრამაზე წარმოდგენილია „ვეთანხმები“ პასუხების პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: ოთხქულიანი სკალა დაჯგუფდა ორ კატეგორიად: პასუხები „სრულად ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“ გაერთიანდა კატეგორიაში „ვეთანხმები“, ხოლო პასუხები „არ ვეთანხმები“ და „საერთოდ არ ვეთანხმები“ - კატეგორიაში „არ ვეთანხმები“.

3.3 ლიდერობა და მონაწილეობა

საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 11 პროცენტს სჯერა, რომ კაცების უმეტესობისთვის რთულია საქართველოში არჩევით თანამდებობაზე კენჭისყრა (დიაგრამა 3.10). თუმცა, ორჯერ მეტი ადამიანი (22%) მიიჩნევს, რომ ეს აქტივობა ქალების უმეტესობისთვის სირთულეს წარმოადგენს. მოსახლეობის 33 პროცენტი ფიქრობს, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი კაცებისთვის რთულია არჩევით თანამდებობაზე კენჭისყრა, 39 პროცენტი იმავეს ამბობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებზე. მოსახლეობის უმრავლესობას (57%) სჯერა, რომ ლგბტქი+ პირებისთვის, ვინც საკუთარ ორიენტაციას არ მალავს, არჩევით თანამდებობაზე კენჭისყრა რთულია.

დიაგრამა 3.10

ზოგადად, რამდენად მარტივი ან რთულია საქართველოში არჩევით თანამდებობაზე კენჭისყრა ქალებისთვის / კაცებისთვის / ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის / ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი კაცებისთვის / სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი (ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი ან ინტერსექსუალი) ქალებისთვის, ვინც თავის სექსუალურ ორიენტაციას არ მალავს / სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი (გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი ან ინტერსექსუალი) კაცებისთვის, ვინც საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას არ მალავს? (პროცენტული მაჩვენებლები)

შენიშვნა: თერთმეტქულიანი სკალა დაჯგუფდა სამ კატეგორიად: ქულები 0-3 გაერთიანდა კატეგორიაში „რთული“, ქულები 4-6 - კატეგორიაში „ნეიტრალური“, ხოლო ქულები 7-10 - კატეგორიაში „მარტივი“.

ხელმძღვანელ პოზიციებზე კანდიდატების მხარდაჭერის სქესის მიხედვით შეფასებისას მოსახლეობის უმეტესობა (57-72 პროცენტი) ამბობს, რომ მათთვის სქესს მნიშვნელობა არ აქვს (დიაგრამა 3.11). თუმცა, სკოლის დირექტორის პოზიციის გარდა, მათ შორის, ვინც რომელიმე სქესის კანდიდატურას ანიჭებს უპირატესობას, ყველა ხელმძღვანელ პოზიციაზე კაცების მხარდაჭერა უფრო ხშირია. მაგალითად, ქალაქის მერის პოსტზე ერთმანეთს თუ შევადარებთ მოსახლეობის იმ წილს, რომელიც რომელიმე სქესს მიანიჭებდა უპირატესობას, კაც კანდიდატს 26 პროცენტით მეტი დაუჭერდა მხარს, ვიდრე ქალ კანდიდატს.

დიაგრამა 3.11

ვის კანდიდატურას დაუჭერდით მხარს შემდეგ თანამდებობებზე იმის გათვალისწინებით, რომ კანდიდატების ყველა მახასიათებლები ერთი და იგივეა? (პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ ვარიანტების იშვიათად დასახელების გამო, ეს კატეგორიები დიაგრამაზე წარმოდგენილი არ არის.

რაც შეეხება სქესის მიხედვით განსხვავებებს, ზოგადად, ქალ კანდიდატებს უფრო მეტი ქალი დაუჭერდა მხარს, ვიდრე კაცი. მაგალითად, ქალების 10 პროცენტი გამოხატავს მხარდაჭერას ქალი პრეზიდენტის მიმართ მაშინ, როცა კაცების მხოლოდ სამი პროცენტი ამჟღავნებს იმავე დამოკიდებულებას (დიაგრამა 3.12).

დიაგრამა 3.12

ვის კანდიდატურას დაუჭერდით მხარს შემდეგ თანამდებობებზე იმის გათვალისწინებით, რომ კანდიდატების ყველა მახასიათებლები ერთი და იგივეა? (პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტის სქესის მიხედვით)



შენიშვნა: „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ ვარიანტების იშვიათად დასახელების გამო, ეს კატეგორიები დიაგრამაზე წარმოდგენილი არ არის.

აღსანიშნავია, რომ უფროსი, კონკრეტულად კი 55 ან მეტი წლის ადამიანები, ზოგადად, უფრო ემხრობიან კაც კანდიდატებს ხელმძღვანელ პოზიციებზე, როგორიცაა ქალაქის მერი, პარლამენტის წევრი ან პრემიერ-მინისტრი, უფრო ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით. გარდა ამისა, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები კონკრეტულ ხელმძღვანელ პოზიციებზე უფრო კაცი კანდიდატების მხარდაჭერისკენ იხრებიან ეთნიკურად ქართველ მოსახლეობასთან შედარებით. მაგალითად, ეთნიკურად ქართველებისგან განსხვავებით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები სკოლის დირექტორად და კერძო კომპანიის აღმასრულებელ დირექტორად, უფრო

მაღალი ალბათობით, მხარდაჭერას კაცი კანდიდატურის მიმართ გამოხატავენ. ამის საპირისპიროდ, კაცებთან შედარებით, ქალები, სხვადასხვა ხელმძღვანელ პოზიციაზე, როგორიცაა სკოლის დირექტორი, კერძო კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი, პარლამენტის წევრი და პრეზიდენტი, ზოგადად, მხარს უფრო მეტად ქალ კანდიდატებს უჭერენ.[11]

იმის გათვალისწინებით, რომ, საქართველოს მოსახლეობის აზრით, კაცების უმეტესობისთვის უფრო ადვილია პოლიტიკაში ჩართვა, ვიდრე ქალების უმეტესობისთვის, გამოკითხვამ ისეთი სხვადასხვა დაბრკოლება გამოავლინა, რაც ქალების პოლიტიკურ ჩართულობას უშლის ხელს. ამ მხრივ ყველაზე მეტად გამოიკვეთა ოჯახური ვალდებულებები (49%), რასაც მოსდევს ტრადიციული შეხედულებები ქალისა და კაცის როლებზე (27%). მოსახლეობის ცხრა პროცენტს მიაჩნია, რომ ქალებს პოლიტიკაში ჩასართავად არანაირი დაბრკოლება არ აქვთ (დიაგრამა 3.13).

დიაგრამა 3.13

თქვენი აზრით, რა უქმნის საქართველოში ქალებს ყველაზე დიდ დაბრკოლებას, რომ ჩაერთონ პოლიტიკაში? (პროცენტული მაჩვენებლები, მაქსიმუმ სამი პასუხი)



საინტერესოა, რომ სოფლად მცხოვრებნი და ისინი, ვინც 35-44 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში ან 55 წლის და მეტის არიან, უფრო მაღალი ალბათობით ასახელებენ ოჯახურ ვალდებულებებს ქალთა პოლიტიკაში ჩართულობისთვის ყველაზე დიდ დაბრკოლებად, ქალაქების მოსახლეობასა და ახალგაზრდებთან შედარებით (დიაგრამა 3.14).[12]

დიაგრამა 3.14

თქვენი აზრით, რა უქმნის საქართველოში ქალებს ყველაზე დიდ დაბრკოლებას, რომ ჩაერთონ პოლიტიკაში? (პასუხის ვარიანტის „ოჯახური ვალდებულებები“ პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტების ასაკისა და დასახლების ტიპის მიხედვით)



ქალების პოლიტიკაში ჩართვისთვის ყველაზე დიდ დაბრკოლებად ოჯახური ვალდებულებების დასახელების პარალელურად, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (48%) პოლიტიკაში უფრო მეტი ქალის წახალისების საუკეთესო გზად სწორედ ოჯახის მხარდაჭერას მიიჩნევს. მოსახლეობის მეხუთედზე მეტი ამბობს, რომ პოლიტიკაში უფრო მეტი ქალის ჩართულობას წაახალისებდა კარგი ფინანსური რესურსები (22%) და საზოგადოების მხრიდან ქალების პოლიტიკაში ჩართვისთვის მხარდაჭერის გაზრდა (21%) (დიაგრამა 3.15). მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედმა (23%) არ იცის, რა ფაქტორები წაახალისებდა პოლიტიკაში უფრო მეტი ქალის ჩართულობას. საერთო ჯამში, პოლიტიკაში ქალების მეტი ჩართულობის წამახალისებელი ფაქტორების დასახელებაში სქესის მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეინიშნება.

დიაგრამა 3.15

თქვენი აზრით, რა წაახალისებს პოლიტიკაში უფრო მეტი ქალის ჩართულობას? (პროცენტული მაჩვენებლები, მაქსიმუმ სამი პასუხი)



საერთო ჯამში, მოსახლეობის 43 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქართველ ქალ პოლიტიკოსებს კაცი კოლეგები თანასწორად არ ექცევიან (დიაგრამა 3.16). კაცების 40 პროცენტს სჯერა, რომ ქალ პოლიტიკოსებს მათი კაცი კოლეგები თანასწორად ექცევიან, იმავეს აცხადებს ქალების 34 პროცენტი.

მოსახლეობის უფრო დიდი წილი (46%) ამბობს, რომ ქალი პოლიტიკოსები თავიანთ კაც კოლეგებს თანასწორად ექცევიან. ქალების 30 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქართველი ქალი პოლიტიკოსები კაც კოლეგებს თანასწორად არ ექცევიან, იმავეს ამბობს კაცების 34 პროცენტი.

დიაგრამა 3.16

თქვენი აზრით, ექცევიან თუ არა ქართველი კაცი პოლიტიკოსები თავიანთ ქალ კოლეგებს თანასწორად? თქვენი აზრით, ექცევიან თუ არა ქართველი ქალი პოლიტიკოსები თავიანთ კაც კოლეგებს თანასწორად? (პროცენტული მაჩვენებლები)

მოსახლეობის უმრავლესობა (65%), ორივე სქესის ჩათვლით, ეთანხმება მოსაზრებას, რომ რაც მეტი ქალი იქნება საქართველოს პარლამენტში, მით მეტი გავლენა ექნებათ ქალებს პოლიტიკურ პრიორიტეტებსა და საჯარო პოლიტიკაზე (დიაგრამა 3.17). საერთო ჯამში, მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი (23%) ამ მოსაზრებას არ ეთანხმება.

დიაგრამა 3.17

ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ რაც მეტი ქალი იქნება პარლამენტში, მით მეტი გავლენა ექნებათ ქალებს პოლიტიკაზე? (პროცენტული მაჩვენებლები)



მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობა ეთანხმება მოსაზრებას პარლამენტში ქალების მონაწილეობის გაზრდის შემთხვევაში მათი გავლენის ზრდაზე, მოსახლეობის აზრი იყოფა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად დადებითი ან უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოზე პოლიტიკაში ქალების რაოდენობის ზრდას. ქალების 59 პროცენტი ეთანხმება იმას, რომ ამას დადებითი გავლენა ექნება, ამავე აზრს იზიარებს კაცების 44 პროცენტიც (დიაგრამა 3.18). კაცების 11 პროცენტს მიაჩნია, რომ პოლიტიკაში ქალების რაოდენობის გაზრდას უარყოფითი გავლენა ექნება. ქალებში ეს მაჩვენებელი ოთხ პროცენტს შეადგენს. საერთო ჯამში, მოსახლეობის 28 პროცენტი ამბობს, რომ პოლიტიკაში ქალების რაოდენობის ზრდა ქვეყანაზე არანაირ გავლენას არ მოახდენს.

დიაგრამა 3.18

რა გავლენას მოახდენს საქართველოზე პოლიტიკაში ქალების რაოდენობის ზრდა? (პროცენტული მაჩვენებლები)



მოსახლეობის 63 პროცენტი მიიჩნევს, რომ პოლიტიკაში მეტი ქალის ჩართვა ქვეყანას სარგებელს მოუტანს (დიაგრამა 3.19). აღსანიშნავია, რომ ამ მოსაზრებას უფრო მეტი ქალი (71%) ეთანხმება, ვიდრე კაცი (55%). გარდა ამისა, უმრავლესობა ამბობს, რომ ქალებს შეუძლიათ, სათანადოდ წარმოაჩინონ კაცების ინტერესი პოლიტიკაში (69%) და, ამის მსგავსად, კაცებს შეუძლიათ სათანადოდ წარმოაჩინონ ქალების ინტერესი პოლიტიკაში (65%). საინტერესოა, რომ კაცებთან შედარებით (65%), ქალების ოდნავ მეტ წილს (72%) სჯერა, რომ ქალებს შეუძლიათ პოლიტიკაში კაცების ინტერესის სათანადოდ წარმოჩენა. და პირიქით, უფრო მეტ კაცს (68%), ვიდრე ქალს (61%), მიაჩნია, რომ კაცებს შეუძლიათ პოლიტიკაში ქალების ინტერესის სათანადოდ წარმოჩენა.

მოსახლეობის უმრავლესობა, როგორც ქალები, ასევე კაცები, ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ქართულ მედიაში კაცი, როგორც წესი, წარმოჩენილია ოჯახის მარჩენლად, ლიდერად ან ბიზნესმენად (69%), ხოლო ქალი, როგორც წესი, წარმოჩენილია, როგორც ცოლი, დედა, აღმზრდელი ან დამხმარე (64%).

დიაგრამა 3.19

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ მოსაზრებას. (დიაგრამაზე წარმოდგენილია „ვეთანხმები“ პასუხების პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: ოთხქულიანი სკალა დაჯგუფდა ორ კატეგორიად: პასუხები „სრულად ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“ გაერთიანდა კატეგორიაში „ვეთანხმები“, ხოლო პასუხები „არ ვეთანხმები“ და „საერთოდ არ ვეთანხმები“ - კატეგორიაში „არ ვეთანხმები“.

მცირედი განსხვავებაა ინდივიდუალურ დამოკიდებულებებსა და სოციალური ნორმების აღქმას შორის იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ, ზოგადად, კაცები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან, ვიდრე ქალები. მოსახლეობის ნახევარი (50%) ეთანხმება ამ მოსაზრებას, ხოლო უმრავლესობის აზრით (58%), მათ დასახლებაში მცხოვრებთა უმეტესობა ამ შეხედულებას იზიარებს (დიაგრამა 3.20).

დიაგრამა 3.20

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს. (დიაგრამაზე წარმოდგენილია „ვეთანხმები“ პასუხების პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: ოთხქულიანი სკალა დაჯგუფდა ორ კატეგორიად: პასუხები „სრულად ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“ გაერთიანდა კატეგორიაში „ვეთანხმები“, ხოლო პასუხები „არ ვეთანხმები“ და „საერთოდ არ ვეთანხმები“ - კატეგორიაში „არ ვეთანხმები“.

სქესის მიხედვით მცირედით განსხვავდება პოლიტიკის მიმართ ზოგადი ინტერესი. კაცები (38%) უფრო მეტ ინტერესს ამჟღავნებენ პოლიტიკის მიმართ, ვიდრე ქალები (32%). თუმცა, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (65%), როგორც ქალები, ასევე კაცები (68% და 62%, შესაბამისი თანმიმდევრობით) აცხადებს, რომ პოლიტიკით დაინტერესებული არ არის (დიაგრამა 3.21). ასევე, პროფესიული ან უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები უფრო მაღალი ალბათობით დაინტერესებულნი არიან პოლიტიკით, ვიდრე განათლების უფრო დაბალ საფეხურზე მყოფი პირები, ხოლო 35-44 წლის ხალხი უფრო ნაკლებ ინტერესს ამჟღავნებს პოლიტიკის მიმართ, ვიდრე სხვა ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენლები.[13]

დიაგრამა 3.21

რამდენად დაინტერესებული ხართ პოლიტიკით? (პროცენტული მაჩვენებლები)

შენიშვნა: ოთხქულიანი სკალა დაჯგუფდა ორ კატეგორიად: პასუხები „ძალიან დაინტერესებული ვარ“ და „ნაწილობრივ დაინტერესებული ვარ“ გაერთიანდა კატეგორიაში „დაინტერესებული ვარ“, ხოლო პასუხები „არც ისე დაინტერესებული ვარ“ და „საერთოდ არ ვარ დაინტერესებული“ - კატეგორიაში „არ ვარ დაინტერესებული“.

რეგრესიული ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ დემოგრაფიული მახასიათებლები, როგორიცაა სქესი, ასაკი, ეთნიკური კუთვნილება, განათლების დონე და დასახლების ტიპი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკურ წარმოდგენებსა და გემოვნებაში. ქალებს უფრო მაღალი ალბათობით მიაჩნიათ, რომ პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდა ქვეყანას სარგებელ მოუტანს. ასევე, ქალები უფრო მეტად იხრებიან იმ მოსაზრებისკენ, რომ ქალებს პოლიტიკაში სათანადოდ შეუძლიათ კაცების ინტერესის წარმოდგენა, ხოლო კაცები უფრო მეტი ალბათობით არ ეთანხმებიან ამ მოსაზრებას. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ეთნიკურად ქართველებთან შედარებით, უფრო მეტად ეთანხმებიან იმას, რომ კაცები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან. ასევე, აღსანიშნავია, რომ ქალები, კაცებთან შედარებით, ნაკლებად ეთანხმებიან ამ მოსაზრებას.[14] რაც შეეხება სოციალური ნორმების აღქმას, სოფლად მცხოვრებნი, თბილისის მოსახლეობასთან შედარებით, უფრო მაღალი ალბათობით ეთანხმებიან, რომ მათ დასახლებაში მცხოვრებთა უმეტესობას კაცები უკეთეს პოლიტიკურ ლიდერებად მიაჩნია, ვიდრე ქალები.[15]

3.4 ქორწინება და ოჯახური ცხოვრება

ოჯახში ადამიანის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, სხვადასხვა კითხვაზე სქესთა შორის მოსაზრებები ხან ერთმანეთს ემთხვევა, ხან კი განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ორივე სქესის წარმომადგენლები - კაცებიც და ქალებიც ერთნაირად ფიქრობენ, რომ ცუდ ქორწინებაში ყოფნას ორივე სქესისთვის მარტოობა სჯობს (18%), ბევრ სხვა საკითხზე შეიძლება განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდეთ (დიაგრამა 3.22). კაცების უმრავლესობა (60%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ ოჯახში ბოლო სიტყვა კაცს უნდა ეკუთვნოდეს. ამ მოსაზრებას ქალების უმცირესობა (45%) უჭერს მხარს. კაცების უმეტესობა (56%) ასევე იზიარებს მოსაზრებას, რომ ბავშვზე ზრუნვა ცალსახად დედის პასუხისმგებლობაა, რასაც ქალების ნახევარზე ოდნავ ნაკლები (49%) ეთანხმება.

დიაგრამა 3.22

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ მოსაზრებას. (დიაგრამაზე წარმოდგენილია „ვეთანხმები“ პასუხების პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: ოთხქულიანი სკალა დაჯგუფდა ორ კატეგორიად: პასუხები „სრულად ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“ გაერთიანდა კატეგორიაში „ვეთანხმები“, ხოლო პასუხები „არ ვეთანხმები“ და „საერთოდ არ ვეთანხმები“ - კატეგორიაში „არ ვეთანხმები“.

ამასთან, რეგრესიული ანალიზის თანახმად, კაცები, უფროსი ასაკის ადამიანები (45 წლის ან მეტის), ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ქალაქებისა და სოფლების მაცხოვრებლები და უმუშევრები უფრო მაღალი ალბათობით ემხრობიან ტრადიციულ შეხედულებას იმაზე, რომ ოჯახში ბოლო სიტყვა კაცს უნდა ეკუთვნოდეს (დიაგრამა 3.23). და პირიქით, ქალები, ახალგაზრდები, ეთნიკურად ქართველები, დედაქალაქის მაცხოვრებლები და დასაქმებული პირები უფრო ნაკლები ალბათობით იზიარებენ ამ მოსაზრებას.[16]

დიაგრამა 3.23

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: ოჯახში ბოლო სიტყვა კაცს ეკუთვნის. (პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტის დასაქმების სტატუსის მიხედვით)



შენიშვნა: ოთხქულიანი სკალა დაჯგუფდა ორ კატეგორიად: პასუხები „სრულად ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“ გაერთიანდა კატეგორიაში „ვეთანხმები“, ხოლო პასუხები „არ ვეთანხმები“ და „საერთოდ არ ვეთანხმები“ - კატეგორიაში „არ ვეთანხმები“.

ის, თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები მათ დასახლებაში მცხოვრებთა უმეტესობის შეხედულებებს კაცებისა და ქალების როლზე ოჯახში გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, უმეტესად ემთხვევა მათ პირად დამოკიდებულებას. თუმცა, არსებობს გარკვეული ვარიაციაც. ქალების ნახევარზე ნაკლები (45%) ეთანხმება, რომ ოჯახში საბოლოო გადაწყვეტილებებს კაცები უნდა იღებდნენ. ამავდროულად ოდნავ უფრო მეტი ქალი (50%) მიიჩნევს, რომ ამ მოსაზრებას მათ დასახლებაში მცხოვრებთა უმეტესობა იზიარებს (დიაგრამა 3.24).

გარდა ამისა, ინდივიდებს შორის, 91 პროცენტი ეთანხმება, რომ ქალებს უნდა ჰქონდეთ თავისუფალი არჩევანის გაკეთების უფლება იმასთან დაკავშირებით, თუ როდის და ვისზე დაქორწინდებიან. თუმცა, მხოლოდ 72 პროცენტი მიიჩნევს, რომ ამ შეხედულებას მათ დასახლებაში მცხოვრებთა უმეტესობა იზიარებს.

გარკვეული განსხვავებებია სოციალური ნორმების აღქმაში სქესისა და დასახლების ტიპის მიხედვით. ისინი, ვინც არ მუშაობს, ასევე, ქალაქებისა და სოფლების მაცხოვრებლები უფრო მაღალი ალბათობით ეთანხმებიან, რომ მათ დასახლებაში მცხოვრებთა უმეტესობა იზიარებს მოსაზრებას, რომ ოჯახის შესანარჩუნებლად ცოლმა ბევრი რამ უნდა აიტანოს ქმრისგან და ოჯახში ბოლო სიტყვა კაცს უნდა ეკუთვნოდეს.[17]

დიაგრამა 3.24

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ მოსაზრებას. (დიაგრამაზე წარმოდგენილია „ვეთანხმები“ პასუხების პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: ოთხქულიანი სკალა დაჯგუფდა ორ კატეგორიად: პასუხები „სრულად ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“ გაერთიანდა კატეგორიაში „ვეთანხმები“, ხოლო პასუხები „არ ვეთანხმები“ და „საერთოდ არ ვეთანხმები“ - კატეგორიაში „არ ვეთანხმები“.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის (82%) ბავშვის სქესს მნიშვნელობა არ აქვს, თუნდაც მხოლოდ ერთი შვილი ჰყავდეთ (დიაგრამა 3.25). თუმცა, მათ შორის, ვინც ერთი შვილის ყოლის შემთხვევაში რომელიმე სქესს მიანიჭებდა უპირატესობას, კაცების 16 პროცენტს ბიჭის ყოლა ურჩევნია, ხოლო ექვს პროცენტს - გოგოსი. ამის მსგავსად, ქალების 10 პროცენტს ურჩევნია, რომ ბიჭი ჰყავდეს, ხოლო ოთხ პროცენტს - გოგო. რეგრესიული ანალიზის თანახმად, ქალები და დასაქმებული ადამიანები უფრო მაღალი ალბათობით ამბობენ, რომ ოჯახში ერთი შვილის ყოლის შემთხვევაში ბავშვის სქესს მათთვის მნიშვნელობა არ აქვს, კაცებთან და უმუშევარ ადამიანებთან შედარებით, ვინც უფრო მეტად ბიჭის ყოლას ამჯობინებდა.[18]

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი უმრავლესობისთვის (82%) ოჯახში ერთი შვილის ყოლის შემთხვევაში ბავშვის სქესს მნიშვნელობა არ აქვს, 38 პროცენტი, მათ შორის ქალების 34 პროცენტი და კაცების 44 პროცენტი, ფიქრობს, რომ მათ დასახლებაში მცხოვრებთა უმეტესობა ბიჭის ყოლას უფრო ამჯობინებდა, ვიდრე გოგოსი.

დიაგრამა 3.25

ოჯახში ერთი შვილის ყოლის შემთხვევაში, რომელ სქესს მიანიჭებდით უპირატესობას? ოჯახში ერთი შვილის ყოლის შემთხვევაში, რომელ სქესს მიანიჭებდნენ უპირატესობას თქვენს დასახლებაში/თემში? (პროცენტული მაჩვენებლები)



კაცების შეხედულებასთან თანხვედრაში, რომ ბავშვის მოვლა უმეტესად ქალის პასუხისმგებლობაა, მოსახლეობის უმრავლესობა (56%), განურჩევლად სქესისა, ეთანხმება მოსაზრებას, რომ როდესაც ბავშვი ავად გახდება, სამსახურში დასვენების დღე დედამ უნდა აიღოს ბავშვის მოსავლელად და არა მამამ (დიაგრამა 3.26). მოსახლეობის 43 პროცენტი მიიჩნევს, რომ არ აქვს მნიშვნელობა, რომელი მშობელი გააცდენს სამსახურს ავადმყოფი ბავშვის მოსავლელად.

დიაგრამა 3.26

იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე მშობელი მუშაობს და ბავშვი ავად გახდება, ვინ უნდა აიღოს დასვენების დღე/ბიულეტენი? (პროცენტული მაჩვენებლები)



რაც შეეხება კაცების როლს ბავშვის მოვლაში, მოსახლეობის უმეტესობა (52%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ ბავშვის მოვლა მხოლოდ დედის პასუხისმგებლობაა. მოსახლეობის დიდი ნაწილი (45%) მიიჩნევს, რომ კაცები იმიტომ სარგებლობენ საქართველოში დეკრეტული შვებულებით იშვიათად, რომ, მათი აზრით, ბავშვებზე ზრუნვა ქალების პასუხისმგებლობაა (დიაგრამა 3.27). მეორე მხრივ, მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედმა (23%) არ იცის, თუ რატომ არ იღებენ კაცები დეკრეტულ შვებულებას. ქალების 23 პროცენტის თქმით, კაცების მიერ დეკრეტული შვებულების არგამოყენების მიზეზი ისაა, რომ ქალებს ურჩევნიათ, თავად იზრუნონ ბავშვებზე. ამ მოსაზრებას კაცების 19 პროცენტი იზიარებს. საქართველოს მოსახლეობის 16 პროცენტი მიიჩნევს, რომ კაცებმა არ იციან ამ შესაძლებლობის შესახებ. სქესთა შორის გარკვეული სხვაობა შეინიშნება საზოგადოების რეაქციაზე კაცის მიერ დეკრეტული შვებულების აღებასთან დაკავშირებით. კაცების 15 პროცენტი ამბობს, რომ დეკრეტული შვებულების გამოყენების შემთხვევაში კაცებს მათი მამრობითი სქესის მეგობრები ან საზოგადოების სხვა წევრები დასცინებენ. ქალების შემთხვევაში, 11 პროცენტი ფიქრობს, რომ ეს შეიძლება იყოს კაცების მიერ დეკრეტული შვებულების არ აღების მიზეზი.

დიაგრამა 3.27

დღეს საქართველოში კაცები იშვიათად სარგებლობენ დეკრეტული შვებულებით ბავშვის მოვლის გამო. როგორ ფიქრობთ, რატომ არ იღებენ დეკრეტულ შვებულებას კაცები? (პროცენტული მაჩვენებლები, რამდენიმე პასუხი)



ორი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება, რის სწავლაც მნიშვნელოვანი იქნებოდა როგორც ბიჭისთვის, ასევე გოგოსთვის, შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობის გრძნობაა. შრომისმოყვარეობა ყველაზე მნიშვნელოვნად დასახელდა ბიჭებისა (80%) და გოგოების (69%) შემთხვევაში. მას მოსდევს პასუხისმგებლობის გრძნობა - 60 პროცენტი ბიჭებისა და 64 პროცენტი გოგოების შემთხვევაში (დიაგრამა 3.28). თუმცა, განსხვავებები ვლინდება სხვა თვისებებშიც, როგორიცაა სამართლიანობა და დამოუკიდებლობა, ასევე კარგი მანერები. ბიჭებისთვის დამოუკიდებლობას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ,

ვიდრე სამართლიანობას, ხოლო კარგი მანერები ყველაზე ნაკლებად არის პრიორიტეტული. გოგოების შემთხვევაში კი კარგ მანერებს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე სამართლიანობასა და დამოუკიდებლობას.

დიაგრამა 3.28

თქვენი აზრით, რომელი ხუთი თვისების სწავლაა უფრო მნიშვნელოვანი ოჯახში გოგოსთვის? ბიჭისთვის? (პროცენტული მაჩვენებლები, არაუმეტეს ხუთი პასუხისა)



საინტერესოა, რომ ქალების 46 პროცენტი მიიჩნევს, რომ გოგოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობა, რასაც კაცების მხოლოდ 33 პროცენტი ეთანხმება (დიაგრამა 3.29).

დიაგრამა 3.29

თქვენი აზრით, რომელი ხუთი თვისების სწავლაა უფრო მნიშვნელოვანი ოჯახში გოგოსთვის? ბიჭისთვის? (პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტის სქესის მიხედვით, არაუმეტეს ხუთი პასუხისა)



ზოგადად, რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ ქორწინებასა და ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებით მოსაზრებების დინამიკა კომპლექსურია სქესის, ეთნიკური კუთვნილების, განათლების დონისა და დასაქმების სტატუსის მიხედვით. ეთნიკურად ქართველები, ახალგაზრდები და თბილისში მცხოვრებნი, ზოგადად, უფრო პროგრესულ შეხედულებებს ამჟღავნებენ ქორწინებასა და ოჯახურ პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით. კაცები, უფროსი ასაკის ადამიანები (35 წლის ან მეტის), ქალაქებისა და სოფლების მაცხოვრებლები და უმუშევრები ხშირად ბავშვზე ზრუნვის მოვალეობებს უმეტესად ქალის პასუხისმგებლობად აღიქვამს. და პირიქით, ქალები, ახალგაზრდები, დედაქალაქის მაცხოვრებლები და დასაქმებული პირები მშობლების პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით უფრო თანასწორი შეხედულებებისკენ იხრებიან.[19]

3.5 უსაფრთხოება და ძალადობა

სახლსა თუ საჯარო ადგილებში დაცულობის აღქმა ძალიან მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სქესზე. მოსახლეობის უმრავლესობას (67%) სჯერა, რომ კაცების უმეტესობა სახლში უსაფრთხოდაა, ხოლო ქალების შემთხვევაში 48 პროცენტს ჰგონია ასე (დიაგრამა 3.30). ასევე, საჯარო ადგილებში, 62 პროცენტის აზრით, კაცების უმრავლესობა უსაფრთხოდაა. საჯარო ადგილებში ქალების ყოფნას კი უსაფრთხოდ 49 პროცენტი მიიჩნევს.

დიაგრამა 3.30

ზოგადად, საქართველოში რამდენად უსაფრთხოდ არიან ქალების უმრავლესობა/კაცების უმრავლესობა საკუთარ სახლში? საზოგადოებრივ/საჯარო ადგილას? უსაფრთხოში ჩვენ ვგულისხმობთ უსაფრთხოდ ფიზიკური, გონებრივი ან ემოციურ/ფსიქოლოგიური ზიანისგან. („უსაფრთხოდ“ პასუხების პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: თერთმეტქულიანი სკალა დაჯგუფდა სამ კატეგორიად: ქულები 0-3 გაერთიანდა კატეგორიაში „სახიფათო“, ქულები 4-6 - კატეგორიაში „ადეკვატური“, ხოლო ქულები 7-10 - კატეგორიაში „უსაფრთხო“.

მოსახლეობის უმრავლესობა (70%) ეთანხმება, რომ ქალმა ურთიერთობაში ყოფნისას თავის სხეულზე ავტონომია უნდა შეინარჩუნოს, თავისუფლად უნდა შეეძლოს უარის თქმა ქმართან თუ პარტნიორთან სექსზე (დიაგრამა 3.31). ამ მოსაზრებას ქალები უფრო ეთანხმებიან (76%), ვიდრე კაცები (64%). საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა (68%) მიიჩნევს, რომ ქალები ყურადღებას იქცევენ თავიანთი ჩაცმულობის გამო. ამ მოსაზრებას მეტი კაცი იზიარებს (76%), ვიდრე ქალი (62%).

დიაგრამა 3.31

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეულ მოსაზრებას. (დიაგრამაზე წარმოდგენილია „ვეთანხმები“ პასუხების პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: ოთხქულიანი სკალა დაჯგუფდა ორ კატეგორიად: პასუხები „სრულად ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“ გაერთიანდა კატეგორიაში „ვეთანხმები“, ხოლო პასუხები „არ ვეთანხმები“ და „საერთოდ არ ვეთანხმები“ - კატეგორიაში „არ ვეთანხმები“.

ფიზიკური ძალადობა პარტნიორებსა თუ მეუღლეებს შორის მისაღები და მოსაწონი არ არის. მოსახლეობის მხოლოდ ექვსი პროცენტი ეთანხმება მოსაზრებას, რომ არსებობს გარემოებები, როდესაც ადამიანს შეუძლია, დაარტყას საკუთარ მეუღლეს ან პარტნიორს (დიაგრამა 3.32). ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი უმცირესობა, 23 პროცენტი, აცხადებს, რომ ასეთი შემთხვევები პირადი საქმეა და სხვები არ უნდა ჩაერიონ. საინტერესოა, რომ ამ მოსაზრებას მეტი კაცი ეთანხმება (28%), ვიდრე ქალი (19%).[20]

საზოგადოებაში არსებულ შეხედულებებზე წარმოდგენა ოჯახში ძალადობის გამართლებასა და ასეთ დროს სხვების ჩარევასთან დაკავშირებით უფრო უარყოფითია, ვიდრე ადამიანების პირადი დამოკიდებულებები. თუკი მოსახლეობის 91 პროცენტს სჯერა, რომ არ არსებობს გარემოებები, როდესაც ადამიანმა შეიძლება, პარტნიორს დაარტყას, უფრო ნაკლები ადამიანი (78%) მიიჩნევს, რომ მათ დასახლებაში მცხოვრებთა უმეტესობა ასე ფიქრობს. მსგავსად ამისა, 74 პროცენტი არ ეთანხმება, რომ ცოლ-ქმარს შორის ძალადობა მხოლოდ პირადი საქმეა. თუმცა, მოსახლეობის ნაკლები წილი (59%) ფიქრობს, რომ მათ დასახლებაში მცხოვრებნი იზიარებენ ამ შეხედულებას (დიაგრამა 3.32).

დიაგრამა 3.32

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს. (პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: ოთხქულიანი სკალა დაჯგუფდა ორ კატეგორიად: პასუხები „სრულად ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“ გაერთიანდა კატეგორიაში „ვეთანხმები“, ხოლო პასუხები „არ ვეთანხმები“ და „საერთოდ არ ვეთანხმები“ - კატეგორიაში „არ ვეთანხმები“.

რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ დემოგრაფიული მახასიათებლები, როგორიცაა სქესი, ასაკი და განათლების დონე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩაცმასთან, ძალადობის გამართლებასთან, ოჯახში ძალადობაზე შეხედულებებთან და სოციალური ნორმების აღქმასთან დაკავშირებით.

ფიზიკურ ძალადობას რაც შეეხება, დასაქმებული პირები ან ისინი, ვისაც პროფესიული განათლება აქვთ, უფრო ნაკლები ალბათობით ეთანხმებიან, რომ არსებობს გარემოებები, როცა ადამიანმა

შეიძლება, მეუღლეს ან პარტნიორს დაარტყას, მათთან შედარებით, ვინც არ მუშაობს და განათლების უფრო დაბალ საფეხურზე დგას. ამის მსგავსად, ქალებისა და უმაღლესი განათლების მქონე პირების შემთხვევაში ნაკლებია იმის ალბათობა, რომ დაეთანხმონ მოსაზრებას, რომ ცოლ-ქმარს შორის ძალადობა პირადი საქმეა და სხვები არ უნდა ჩაერიონ, განსხვავებით კაცებისგან და განათლების უფრო დაბალ საფეხურზე მყოფი პირებისაგან (დიაგრამა 3.33).[21]

დიაგრამა 3.33

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: ცოლ-ქმარს შორის ძალადობა პირადი საქმეა და სხვები არ უნდა ჩაერიონ. (პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტის განათლების დონის მიხედვით)



შენიშვნა: ოთხქულიანი სკალა დაჯგუფდა ორ კატეგორიად: პასუხები „სრულად ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“ გაერთიანდა კატეგორიაში „ვეთანხმები“, ხოლო პასუხები „არ ვეთანხმები“ და „საერთოდ არ ვეთანხმები“ - კატეგორიაში „არ ვეთანხმები“.

სოციალური ნორმების აღქმა განსხვავდება სქესის, ასაკისა და განათლების დონის მიხედვით. კაცებთან და უმუშევრებთან შედარებით, ქალები და დასაქმებული პირების უფრო დიდი ნაწილი ეთანხმება იმას, რომ მათ დასახლებაში მცხოვრებთა უმეტესობის შეხედულებით, არსებობს გარემოებები, როცა ადამიანმა შეიძლება დაარტყას მეუღლეს ან პარტნიორს. გარდა ამისა, განათლების დაბალ საფეხურზე მდგომებთან შედარებით, ისინი, ვისაც უმაღლესი განათლება აქვს, უფრო მეტად არ ეთანხმებიან იმას, რომ მათ დასახლებაში ხალხის უმეტესობა ცოლ-ქმარს შორის ძალადობას პირად საქმედ მიიჩნევს, რომელშიც სხვები არ უნდა ჩაერიონ.[22]

3.6 ჯანდაცვა

საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ერთი მეხუთედი საბაზისო ჯანდაცვის ხარისხს ქალების უმრავლესობისთვის (17%) და კაცების უმრავლესობისთვის (17%) საქართველოში აფასებს, როგორც ცუდს. ზოგადად, ქალებთან შედარებით, კაცები უფრო მეტად ფიქრობენ, რომ საქართველოში საბაზისო ჯანდაცვის ხარისხი ცუდია (დიაგრამა 3.34).

დიაგრამა 3.34

ზოგადად, როგორ შეაფასებდით საბაზისო ჯანდაცვის ხარისხს საქართველოში ქალების უმრავლესობისთვის / კაცების უმრავლესობისთვის / თქვენთვის? (პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: თერთმეტქულიანი სკალა დაჯგუფდა სამ კატეგორიად: ქულები 0-3 გაერთიანდა კატეგორიაში „ცუდად“, ქულები 4-6 - კატეგორიაში „ადეკვატურად“, ხოლო ქულები 7-10 - კატეგორიაში „კარგად“.

მოსახლეობის უმრავლესობა (77%), მათ შორის ორივე, ქალებიც (79%) და კაცებიც (75%), ამბობს, რომ ჰყავს ექიმი ან სამედიცინო პუნქტი, სადაც რეგულარულად დადის, როცა ავადაა ან სამედიცინო რჩევა სჭირდება (დიაგრამა 3.35). თუმცა, მოსახლეობის მხოლოდ მესამედზე ნაკლები (26%), მათ შორის, ქალები (29%) და კაცები (22%), აღნიშნავს, რომ რეგულარულ გეგმურ სამედიცინო შემოწმებას იტარებს პრევენციის მიზნით, როცა არაფერი აწუხებს.

დიაგრამა 3.35

როცა ავად ხართ ან სამედიცინო რჩევა გჭირდებათ, გყავთ თუ არა ექიმი ან პოლიკლინიკა / სამედიცინო პუნქტი, რომელთანაც / სადაც რეგულარულად დადიხართ ხოლმე? იტარებთ თუ არა რეგულარულ გეგმურ სამედიცინო შემოწმებას პრევენციის მიზნით, როცა არაფერი გაწუხებთ? (პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ ვარიანტების იშვიათად დასახელების გამო, ეს კატეგორიები დიაგრამაზე წარმოდგენილი არ არის.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (73%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქალებისთვის მნიშვნელოვანია ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებულ მომსახურებებზე წვდომა (დიაგრამა 3.36). ამ მოსაზრებას კაცები უფრო ნაკლებად ეთანხმებიან (66%), ვიდრე ქალები (73%). კაცების 26 პროცენტმა არ იცის ოჯახის დაგეგმვის მომსახურებებზე ქალთა წვდომის მნიშვნელობის შესახებ. ქალების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 15 პროცენტია.

დიაგრამა 3.36

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: ქალებისთვის მნიშვნელოვანია ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებულ მომსახურებებზე წვდომა (პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: ოთხქულიანი სკალა დაჯგუფდა ორ კატეგორიად: პასუხები „სრულად ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“ გაერთიანდა კატეგორიაში „ვეთანხმები“, ხოლო პასუხები „არ ვეთანხმები“ და „საერთოდ არ ვეთანხმები“ - კატეგორიაში „არ ვეთანხმები“.

საქართველოს მოსახლეობა ქვეყანაში ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხს არაერთგვაროვნად აფასებს. საერთო ჯამში, მეოთხედზე მეტს (26%) სჯერა, რომ არსებული მომსახურება ძალიან კარგია (დიაგრამა 3.37). მეორე მხრივ, მოსახლეობის უფრო დიდი წილი (30%) ფიქრობს, რომ ეს მომსახურება მხოლოდ ადეკვატურია. ქალების 18 პროცენტი ამ მომსახურებას ცუდად აფასებს კაცებთან შედარებით, რომელთა წილი 12 პროცენტია. გარდა ამისა, კაცების 37 პროცენტმა არ იცის, როგორ შეაფასოს ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხი საქართველოში. ქალების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 21 პროცენტია.

დიაგრამა 3.37

როგორ შეაფასებთ ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხს საქართველოში (მაგალითად, გინეკოლოგთან კონსულტაციის ხარისხს, რომელიც გულისხმობს სქესობრივი კავშირისას თავდაცვის საშუალებების გამოყენების, ფეხმძიმობის დაგეგმვის და აბორტის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და ა.შ.)? (პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: თერთმეტქულიანი სკალა დაჯგუფდა სამ კატეგორიად: ქულები 0-3 გაერთიანდა კატეგორიაში „ცუდად“, ქულები 4-6 - კატეგორიაში „ადეკვატურად“, ხოლო ქულები 7-10 - კატეგორიაში „კარგად“.

საერთო ჯამში, დემოგრაფიული ფაქტორი, როგორიცაა ასაკი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოში ჯანდაცვის საბაზისო ხარისხის შეფასებაში. როგორც ჩანს, ახალგაზრდებთან შედარებით, 25 წელს გადაცილებული პირები უფრო მეტად იხრებიან იმისკენ, რომ საქართველოში საბაზისო ჯანდაცვის ხარისხი, ქალებისთვის, კაცებისთვის და პირადად მათთვის ცუდად შეაფასონ.[23]

კაცები ზოგადად ნაკლებად გათვითცნობიერებულები არიან ოჯახის დაგეგმვის მომსახურებებთან დაკავშირებით, ვიდრე ქალები.[24] ეთნიკურად ქართველებთან და ქალებთან შედარებით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები და კაცები უფრო მაღალი ალბათობით ირჩევენ პასუხს „არ ვიცი“ და ნაკლებად ეთანხმებიან მოსაზრებას იმაზე, რომ ქალებისთვის მნიშვნელოვანია ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებულ მომსახურებებზე წვდომა (დიაგრამა 3.38).[25]

დიაგრამა 3.38

როგორ შეაფასებთ ოჯახის დაგეგმვასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხს საქართველოში (მაგალითად, გინეკოლოგთან კონსულტაციის ხარისხს, რომელიც გულისხმობს სქესობრივი კავშირისას თავდაცვის საშუალებების გამოყენების, ფეხმძიმობის დაგეგმვის და აბორტის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და ა.შ.)? (პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტის ეთნიკური კუთვნილების მიხედვით)



შენიშვნა: თერთმეტქულიანი სკალა დაჯგუფდა სამ კატეგორიად: ქულები 0-3 გაერთიანდა კატეგორიაში „ცუდად“, ქულები 4-6 - კატეგორიაში „ადეკვატურად“, ხოლო ქულები 7-10 - კატეგორიაში „კარგად“.

3.7 საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლი

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (68%) მიიჩნევს, რომ საკუთარ ცხოვრებას საკმაოდ კარგად აკონტროლებს (დიაგრამა 3.39). თუმცა, ასე კაცებთან (75%) შედარებით, ქალების უფრო მცირე წილი (62%) ფიქრობს. მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს (51%) სჯერა, რომ ქალების უმრავლესობა აკონტროლებს საკუთარ ცხოვრებას. მოსახლეობის კიდევ უფრო მეტი წილი (65%) ეთანხმება ამ მოსაზრება კაცების უმრავლესობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ კაცების უმრავლესობა (55%) მიიჩნევს, რომ ქალების უმრავლესობა თავად განკარგავს საკუთარ ცხოვრებას, ამ შეხედულებას ქალების მხოლოდ 47 პროცენტი იზიარებს.

დიაგრამა 3.39

ზოგადად, რამდენად აკონტროლებს / განკარგავს საკუთარ ცხოვრებას ქალების უმრავლესობა / კაცების უმრავლესობა / თქვენ? (პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: თერთმეტქულიანი სკალა დაჯგუფდა სამ კატეგორიად: ქულები 0-3 გაერთიანდა კატეგორიაში „არანაირი კონტროლი“, ქულები 4-6 - კატეგორიაში „გარკვეული კონტროლი“, ხოლო ქულები 7-10 - კატეგორიაში „დიდი კონტროლი“.

საქართველოში, საკუთარ თავზე საუბრისას, მოსახლეობის უმეტესობა (75%) ინდივიდუალურ გადაწყვეტილებად მიიჩნევს იმას, თუ ვისზე იქორწინოს (დიაგრამა 3.40). თუმცა, კაცების უფრო დიდი წილი (83%) ამბობს, რომ დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას, თუ ვისზე იქორწინოს, ვიდრე ქალების (68%). გარდა ამისა, მოსახლეობის 82 პროცენტი ეთანხმება მოსაზრებას, რომ კაცების უმრავლესობა დამოუკიდებლად იღებს ამ გადაწყვეტილებას, ხოლო ქალების უმრავლესობაზე იმავეს მხოლოდ 69 პროცენტი ამბობს.

დიაგრამა 3.40

ზოგადად, რამდენად დამოუკიდებლად იღებს ქალების უმრავლესობა / კაცების უმრავლესობა / თქვენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ ვისზე იქორწინოს? (პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: თერთმეტქულიანი სკალა დაჯგუფდა სამ კატეგორიად: ქულები 0-3 გაერთიანდა კატეგორიაში „არადამოუკიდებლად“, ქულები 4-6 - კატეგორიაში „გარკვეულწილად დამოუკიდებლად“, ხოლო ქულები 7-10 - კატეგორიაში „დამოუკიდებლად“.

როგორც რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, კაცებთან შედარებით, ქალები უფრო ნაკლები ალბათობით ამბობენ, რომ დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებას, ვისზე იქორწინონ. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან შედარებით, ქართველები უფრო მაღალი ალბათობით მიიჩნევენ, რომ ქალი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას ქორწინების შესახებ. უმაღლესი განათლების მქონე პირები უფრო მაღალი ალბათობით მიიჩნევენ, რომ დამოუკიდებლად შეუძლიათ ქორწინებაზე გადაწყვეტილების მიღება, ვიდრე ისინი, ვინც განათლების უფრო დაბალ საფეხურზე დგას (დიაგრამა 3.41).[26]

დიაგრამა 3.41

ზოგადად, რამდენად დამოუკიდებლად იღებთ გადაწყვეტილებას საქართველოში იმის შესახებ, თუ ვისზე იქორწინოთ? (პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტის განათლების დონის მიხედვით)



შენიშვნა: თერთმეტქულიანი სკალა დაჯგუფდა სამ კატეგორიად: ქულები 0-3 გაერთიანდა კატეგორიაში „არადამოუკიდებლად", ქულები 4-6 - კატეგორიაში „გარკვეულწილად დამოუკიდებლად", ხოლო ქულები 7-10 - კატეგორიაში „დამოუკიდებლად".

თუმცა, საქართველოს მოსახლეობის მოსაზრებები განსხვავდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გამართლებულია ადამიანისთვის სექსუალური ურთიერთობის ქონა, მაგალითად, სქესობრივი კავშირი ქორწინებამდე და ცხოვრების განმავლობაში ერთზე მეტი სექსუალური პარტნიორის ყოლა. მონაცემები აჩვენებს, რომ ადამიანის პირად თავისუფლებასა და სექსუალურ ავტონომიას შორის განსხვავებები არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ხალხი ფიქრობს, რომ თავად განკარგავს საკუთარ ცხოვრებას, ადამიანის სექსუალური ავტონომია მეტწილად მის სქესზეა დამოკიდებული. საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი (51%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ კაცებისთვის გამართლებულია ქორწინებამდე სქესობრივი კავშირის ქონა. თუმცა, მხოლოდ 31 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქალებისთვის ქორწინებამდე სქესობრივი კავშირი გამართლებულია (დიაგრამა 3.42). კაცების მცირე ნაწილი (27%) ფიქრობს, რომ ქალისთვის ქორწინებამდე სქესობრივი კავშირის ქონა გამართლებულია. ქალების მხოლოდ რვა პროცენტით განსხვავებული წილი (34%) ეთანხმება, რომ ქალისთვის ქორწინებამდე სქესობრივი კავშირი გამართლებულია. მეორე მხრივ, კაცების უმრავლესობა (52%) მიიჩნევს, რომ კაცისთვის ქორწინებამდე სქესობრივი კავშირის ქონა გამართლებულია. ამ მოსაზრებას ქალების თითქმის ნახევარიც (49%) ეთანხმება.

თუკი მოსახლეობის მცირე, მაგრამ მაინც უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ინდივიდისთვის, განსაკუთრებით კაცისთვის, ქორწინებამდე სქესი გარკვეულწილად გამართლებულია, დამოკიდებულებები უფრო კრიტიკულია, როცა კითხვა ცხოვრების განმავლობაში რამდენიმე სექსუალური პარტნიორის ყოლას ეხება. ადამიანების უმეტესობა ფიქრობს, რომ ცხოვრებაში რამდენიმე სექსუალური პარტნიორის ყოლა გაუმართლებელია, 36 პროცენტის აზრით, ეს გამართლებულია კაცებისთვის, ხოლო, 24 პროცენტის თქმით, ქალებისთვის. ამ საკითხზე კაცებსა და ქალებს შორის, ორივე სქესთან მიმართებით, მოსაზრებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება.

საქართველოს მოსახლეობა, პირადი მოსაზრებისგან განსხვავებით, საზოგადოებას უფრო კონსერვატიულად მიიჩნევს ქორწინებამდე სექსის საკითხში. საერთო ჯამში, მხოლოდ 18 პროცენტი ფიქრობს, რომ მათ დასახლებაში მცხოვრებთა უმეტესობა ამართლებს ქალისთვის ქორწინებამდე სექსობრივი კავშირის ქონას (დიაგრამა 3.42). ამ მხრივ დიდი კონტრასტია კაცებისთვის ქორწინებამდე სექსის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების აღქმაში: 47 პროცენტი ამბობს, რომ მათ დასახლებაში უმეტესობა კაცისთვის ქორწინებამდე სქესობრივ კავშირს გამართლებულად მიიჩნევს.

რაც შეეხება საზოგადოების მოსაზრების შეფასებას - რამდენიმე სექსუალური პარტნიორის ყოლის შესახებ, მოსახლეობის შეხედულება კაცისთვის ცხოვრების განმავლობაში რამდენიმე პარტნიორის ყოლაზე უმეტესად ემთხვევა მათ წარმოდგენას იმაზე, თუ რას ფიქრობს საზოგადოება ამ საკითხზე. კერძოდ, ყოველი მესამე ადამიანი (34%) ამბობს, რომ მათ დასახლებაში მცხოვრებთა უმეტესობა გამართლებულად მიიჩნევს კაცისთვის ცხოვრების განმავლობაში რამდენიმე პარტნიორის ყოლას. თუმცა, მოსაზრებას, რომ იმავეს საზოგადოება ქალებისთვისაც ამართლებს, მოსახლეობის მხოლოდ 15 პროცენტი იზიარებს.

დიაგრამა 3.42

თქვენი აზრით, რამდენად გამართლებულია ქორწინებამდე სექსობრივი კავშირი ქალებისთვის / კაცებისთვის? თქვენს დასახლებაში / თემში რამდენად გამართლებულია ქორწინებამდე სექსობრივი კავშირი ქალებისთვის / კაცებისთვის? თქვენი აზრით, რამდენად გამართლებულია, რომ ქალს / კაცს ჰყავდეს რამდენიმე სექსუალური პარტნიორი ცხოვრების განმავლობაში? თქვენი აზრით, თქვენს დასახლებაში / თემში რამდენად გამართლებულია, რომ ქალს / კაცს ჰყავდეს რამდენიმე სექსუალური პარტნიორი ცხოვრების განმავლობაში? („გარკვეულწილად გამართლებულია“ და „სრულიად გამართლებულია“ პასუხების პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: თერთმეტქულიანი სკალა დაჯგუფდა სამ კატეგორიად: ქულები 0-3 გაერთიანდა კატეგორიაში „არ არის გამართლებული“, ქულები 4-6 - კატეგორიაში „გარკვეულწილად გამართლებულია“, ხოლო ქულები 7-10 - კატეგორიაში „გამართლებულია“.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული საზოგადოება ქალებს, კაცებთან შედარებით, ძალიან უზღუდავს სექსუალურ ავტონომიას, არასასურველი ორსულობის თავიდან აცილებაზე პასუხისმგებლობას ორივე სქესს აკისრებს. მოსახლეობის უმრავლესობა (75%) ეთანხმება, რომ ასეთ შემთხვევაში ორივე სქესი თანაბრადაა პასუხისმგებელი (დიაგრამა 3.43). კაცებისა და ქალების მხოლოდ ორი პროცენტი ამბობს, რომ კაცები არიან პასუხისმგებლები, ხოლო 11 პროცენტი მიიჩნევს, რომ არასასურველ ორსულობაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ ქალებს ეკისრებათ.

დიაგრამა 3.43

ვინ არის პასუხისმგებელი არასასურველი ორსულობის თავიდან აცილებაზე? (პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: რესპონდენტების მიერ „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“ ვარიანტების იშვიათად არჩევის გამო, ეს კატეგორიები დიაგრამაზე წარმოდგენილი არ არის.

შესამჩნევი განსხვავებებია დამოკიდებულებებში ქორწინებამდე სქესობრივი კავშირისა და რამდენიმე სექსუალური პარტნიორის ყოლის მიმართ ეთნიკური კუთვნილების, ასაკის, სქესის, განათლების დონისა და ქალაქში თუ სოფელში ცხოვრების მიხედვით.

ქალაქის მაცხოვრებლები (დედაქალაქის მოსახლეობის გარდა), სოფლად მცხოვრებნი, უფროსი ასაკის ადამიანები (35 წლის ან მეტის) და ეთნიკური უმცირესობები უფრო მაღალი ალბათობით მიიჩნევენ, რომ ქალისთვის ქორწინებამდე სქესობრივი კავშირი გამართლებული არ არის, დედაქალაქის მოსახლეობასთან, ახალგაზრდებთან და ეთნიკურად ქართველებთან შედარებით (დიაგრამა 3.44). საინტერესოა, რომ ქალები კაცებისთვის ქორწინებამდე სქესობრივი კავშირის ქონას უფრო ხშირად ნაწილობრივ გამართლებულად მიიჩნევენ, ვიდრე სრულიად გამართლებულად.[27]

დიაგრამა 3.44

რამდენად გამართლებულია ქალებისთვის ქორწინებამდე სქესობრივი კავშირი? (პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტის დასახლების ტიპის, ასაკისა და ეთნიკური კუთვნილების მიხედვით)



შენიშვნა: თერთმეტქულიანი სკალა დაჯგუფდა სამ კატეგორიად: ქულები 0-3 გაერთიანდა კატეგორიაში „არ არის გამართლებული“, ქულები 4-6 - კატეგორიაში „გარკვეულწილად გამართლებულია“, ხოლო ქულები 7-10 - კატეგორიაში „გამართლებულია“.

კაცები, ქალაქებისა და სოფლების მაცხოვრებლები და 55 წლის ან მასზე უფროსი ასაკის ადამიანები ნაკლები ალბათობით ამბობენ, რომ ქალისთვის რამდენიმე სექსუალური პარტნიორის ყოლა გამართლებულია, თავად ქალებთან, ახალგაზრდებთან და დედაქალაქის მაცხოვრებლებთან შედარებით. თუმცა, ვისაც უმაღლესი განათლება აქვს, უფრო იხრებიან იმისკენ, რომ ქალისთვის რამდენიმე სექსუალური პარტნიორის ყოლა სრულიად გამართლებულად ჩათვალონ, ვიდრე განათლების უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი პირები.[28]

3.8 პირად ფინანსებზე კონტროლი და ფიზიკურ ქონებაზე წვდომა

საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებები იმ თემებსა და შეკითხვებზე, რაც ფიზიკურ ქონებასა და პირად ფინანსებზე ადამიანის უფლებებს ეხება, გარკვეულწილად განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელი სქესის ადამიანზეა შეკითხვა. მოსახლეობის უმეტესობა, 70 პროცენტი, ამბობს, რომ „ძალიან დიდი“ კონტროლი აქვს საკუთარ ფინანსებზე. ამ განცხადებას მეტი კაცი (74%) ეთანხმება, ვიდრე ქალი (66%) (დიაგრამა 3.45). თუმცა, კაცებისა და ქალების უმრავლესობის შემთხვევაში საკუთარი ფინანსების კონტროლზე კითხვის დასმისას, მოსახლეობის აზრით, კაცებს უფრო მეტად აქვთ კონტროლი (67%), ვიდრე ქალებს (58%).

დიაგრამა 3.45

ზოგადად, საქართველოში რამდენად აქვთ კონტროლი საკუთარ ფინანსებზე ქალების უმრავლესობას / კაცების უმრავლესობას / თქვენ? („ძალიან დიდი“ პასუხების პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: თერთმეტქულიანი სკალა დაჯგუფდა სამ კატეგორიად: ქულები 0-3 გაერთიანდა კატეგორიაში „არანაირი კონტროლი“, ქულები 4-6 - კატეგორიაში „გარკვეული კონტროლი“, ხოლო ქულები 7-10 - კატეგორიაში „ძალიან დიდი კონტროლი“.

რაც შეეხება ქონების ყიდვას, მოსახლეობის უმრავლესობა აცხადებს, რომ კაცებისთვის (78%) და ქალებისთვის (71%) ადვილია საკუთარ სახელზე ქონების ყიდვა (დიაგრამა 3.46). ქალების 67 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქალების უმრავლესობისთვის მათ სახელზე ქონების ყიდვა ადვილია, ხოლო 76 პროცენტი იმავეს ამბობს კაცების უმრავლესობის შემთხვევაში.

დიაგრამა 3.46

ზოგადად, რამდენად მარტივია ან რთულია საქართველოში ქონების საკუთარ სახელზე ყიდვა ქალების უმრავლესობისთვის / კაცების უმრავლესობისთვის? („მარტივი“ პასუხების პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: თერთმეტქულიანი სკალა დაჯგუფდა სამ კატეგორიად: ქულები 0-3 გაერთიანდა კატეგორიაში „რთული“, ქულები 4-6 - კატეგორიაში „ნეიტრალური“, ხოლო ქულები 7-10 - კატეგორიაში „მარტივი“.

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ვარიაცია შეინიშნება იმ საკითხზე, თუ რა დონეზე აკონტროლებს ადამიანი საკუთარ ფინანსებს (სქესის მიხედვით), მათ თემზე / მათ დასახლებაში მცხოვრებ ადამიანებზე კითხვის დასმისას, საქართველოს მოსახლეობის 70 პროცენტს მიაჩნია, რომ მათ დასახლებაში მნიშვნელოვან ფინანსურ გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სესხის აღება ან ქონების ჩა-

დება სესხის უზრუნველსაყოფად, როგორც წესი, ქალები და კაცები თანაბრად წყვეტენ (დიაგრამა 3.47). ამავდროულად, თითქმის ყოველი მეხუთე ადამიანი (18%) ამბობს, რომ მათ თემში ასეთ საკითხებს კაცები წყვეტენ.

დიაგრამა 3.47

თქვენს დასახლებაში / თემში ძირითადად ვინ წყვეტს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სესხის აღება ან ქონების ჩადება სესხის უზრუნველსაყოფად? (პროცენტული მაჩვენებლები)



რაც შეეხება მშობლებისგან მიღებულ მემკვიდრეობას, საქართველოს მოსახლეობის უმეტესობას (79%) მიაჩნია, რომ იგი თანაბრად უნდა გაიყონ კაცმა და ქალმა მემკვიდრეებმა (დიაგრამა 3.48). ამასთან, მართალია, მოსახლეობა ძირითადად მემკვიდრეობის თანაბარ გაყოფას უჭერს მხარს, შვილის სქესის მიუხედავად, მნიშვნელოვან უმცირესობას (19%) მაინც ჰგონია, რომ მემკვიდრეობა ბიჭს უნდა ერგოს.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა (79%) ფიქრობს, რომ მშობლებისგან მიღებული მემკვიდრეობა შვილებმა თანაბრად უნდა გაიყონ, მათი აზრით, მათ დასახლებაში ხალხი სხვანაირად ფიქრობს. მოსახლეობის დიდი ნაწილის (46%) აზრით, მათ თემში / დასახლებაში ხალხს ურჩევნია, რომ მშობლების მემკვიდრეობა ბიჭებს დარჩეთ. მეორე მხრივ, 42 პროცენტს სჯერა, რომ მათი თემის წარმომადგენლებიც მემკვიდრეობის თანაბრად, სქესის განურჩევლად, გაყოფის მომხრე არიან.

დიაგრამა 3.48

თქვენი აზრით, ვინ უნდა მიიღოს მემკვიდრეობა (სახლი, მიწა და სხვა ქონება) მშობლებისგან - გოგომ, ბიჭმა, თუ თანაბრად უნდა განაწილდეს? თქვენს დასახლებაში / თემში ძირითადად ვინ იღებს მემკვიდრეობას (სახლს, მიწას და სხვა ქონებას) მშობლებისგან - გოგო, ბიჭი, თუ ორივე თანაბრად? (პროცენტული მაჩვენებლები)



რეგრესიულმა ანალიზმა გამოავლინა ვარიაცია დამოკიდებულებებსა და აღქმებში სქესის, ეთნიკური კუთვნილებისა და დასახლების ტიპის მიხედვით. კაცები ზოგადად უფრო მეტ კონტროლს გრძნობენ საკუთარ ფინანსებზე,[29] თუმცა, დამოკიდებულება მემკვიდრეობისა და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების შესახებ დემოგრაფიულ ჯგუფებში განსხვავდება. ქალებში, ეთნიკურად ქართველებსა და თბილისის მაცხოვრებლებში შეინიშნება მემკვიდრეობის მიღების საკითხში გენდერული თანასწორობის მხარდაჭერის ტენდენცია, ხოლო სხვა ჯგუფებში უფრო ტრადიციული შეხედულებები აქვთ მემკვიდრეობის ბიჭისთვის დატოვების შესახებ (დიაგრამა 3.49). გარდა ამისა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების აღქმით, ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კაცები უფრო დომინანტურები არიან ქალებთან შედარებით.[30]

დიაგრამა 3.49

თქვენი აზრით, ვინ უნდა მიიღოს მემკვიდრეობა (სახლი, მიწა და სხვა ქონება) მშობლებისგან - გოგომ, ბიჭმა, თუ თანაბრად უნდა განაწილდეს? (პროცენტული მაჩვენებლები რესპონდენტების ეთნიკური კუთვნილებისა და დასახლების ტიპის მიხედვით)



3.9 მომავლის იდეალები

საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე ოდნავ ნაკლები (47%), მათ შორის ქალები (47%) და კაცები (48%) მიიჩნევენ, რომ საქართველოში არის გენდერული თანასწორობა (დიაგრამა 3.50). ორმოცდაერთი პროცენტი საპირისპირო აზრისაა, ხოლო 11 პროცენტი პასუხში დარწმუნებული არ არის. საინტერესოა, რომ ამ საკითხზე ქალებისა და კაცების მოსაზრებები საკმაოდ მსგავსია.

დიაგრამა 3.50

თქვენი აზრით, არის თუ არა საქართველოში გენდერული თანასწორობა? (პროცენტული მაჩვენებლები)



საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რაც გენდერულ თანასწორობას დაუჭერს მხარს და ქალთა ჩართულობას სხვადასხვა პროფესიულ სფეროში წაახალისებს. მოსახლეობის 97 პროცენტის თქმით, ქვეყნისთვის ბავშვთა ზრუნვის ხარისხიანი სერვისების განვითარება (დიაგრამა 3.51). ამას მოსდევს თანაბარი ანაზღაურება თანაბარი სამუშაოსთვის (96%) და იმის აუცილებლობა, რომ ქალებს და კაცებს თანასწორად მოეპყრონ (95%). როგორც კაცები, ასევე ქალები მნიშვნელოვნად უჭერენ მხარს ქალებისთვის მეტი შესაძლებლობების შექმნას ბიზნესში (79%), პოლიტიკაში (77%) და მეტი ქალის მუშაობას გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე (75%).

დიაგრამა 3.51

თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული ქვემოთ მოყვანილი საკითხი ქვეყნის წარმატებისთვის? („ნაწილობრივ მნიშვნელოვანია“ და „ძალიან მნიშვნელოვანია“ პასუხების პროცენტული მაჩვენებლები)



შენიშვნა: ოთხქულიანი სკალა დაჯგუფდა ორ კატეგორიად: პასუხები „ძალიან მნიშვნელოვანი“ და „ნაწილობრივ მნიშვნელოვანი“ გაერთიანდა კატეგორიაში „მნიშვნელოვანი“, ხოლო პასუხები „ნაწილობრივ არ არის მნიშვნელოვანი“ და „საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი“ - კატეგორიაში „არ არის მნიშვნელოვანი“.

საერთო ჯამში, ქალები თანმიმდევრულად აყენებენ წინ გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების ასპექტებს, მათ შორის, მეტ შესაძლებლობას ბიზნესსა და პოლიტიკაში, წვდომას განათლებასა და ჯანდაცვაზე, ქალის უფლებების პატივისცემას, თანაბარ ანაზღაურებას და ოჯახში პასუხისმგებლობების თანაბარ განაწილებას.[31]

4 დასკვნითი დებულებები

მიუხედავად ვითარების გაუმჯობესებისა გარკვეულ სფეროებში და ზოგიერთი იმედისმომცემი შედეგისა, გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულების კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ დისკრიმინაციული სოციალური ნორმები და დამოკიდებულებები საქართველოში ქალებისა და გოგოების პროგრესს კვლავ აფერხებს. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ეთანხმება, რომ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობისა და ქალების გაძლიერების მხარდაჭერა, სხვადასხვა სფეროში კვლავ ვხვდებით გენდერული სტერეოტიპებსა და მოძველებულ დამოკიდებულებებს. აუნაზღაურებელი ზრუნვის პასუხისმგებლობების, გენდერული სახელფასო სხვაობისა და სამსახურში სეგრეგაციის საკითხებიდან დაწყებული, ლიდერობასა და მონაწილეობის შესაძლებლობებში არსებული განსხვავებებით დამთავრებული, გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულებები ყველა იმ სფეროში, რასაც კვლევა მოიცავს არასახარბიელოა.

კვლევამ აჩვენა, რომ გენდერული სტერეოტიპები საქართველოს მოსახლეობაში ჯერ კიდევ გავრცელებულია, თუმცა, მოსახლეობის აღქმით სოციალური ნორმები კიდევ უფრო დისკრიმინაციულია. კვლევამ გამოავლინა განსხვავება ინდივიდუალურ დამოკიდებულებებსა და მოსახლეობის მიერ სოციალური ნორმების აღქმას შორის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ინდივიდუალურ დონეზე, საქართველოს მოსახლეობას გენდერულ თანასწორობაზე უფრო პროგრესული შეხედულებები აქვს ცხოვრების მთელ რიგ სფეროებში, იმისგან განსხვავებით, რასაც, მათი აღქმით, მათ დასახლებაში მცხოვრებთა უმეტესობა ფიქრობს. სოციალური ფსიქოლოგიის დარგში ამ ფენომენს უმრავლესობის **უცოდინარობას (Pluralistic ignorance)** უწოდებენ, როცა არასწორი აღქმა გაქვს, თითქოს სხვების დამოკიდებულებები და ქცევა შენი ქცევის და დამოკიდებულებებისგან განსხვავებულია; თუმცა, რეალურად ეს ასე არ არის.[32]

მნიშვნელოვანია მოსახლეობის წარმოდგენის გაგება არსებულ სოციალური ნორმებზე, რადგანაც ინდივიდების ქცევაზე ხშირად სწორედ ეს წარმოდგენები და აღქმები ახდენს გავლენას - მაშინაც კი, როცა სოციალური ნორმების ჩვენეული აღქმა ჩვენივე ინდივიდუალური დამოკიდებულებებისა და რწმენისგან განსხვავებულია. ამის მიუხედავად, სოციალური ნორმების აღქმასთან დაკავშირებით ორი მნიშვნელოვანი დეტალია გასათვალისწინებელი: პირველი ისაა, რომ ხშირად სხვების დამოკიდებულებებისა და ქცევის ჩვენეული აღქმა მცდარია,[33] და მეორე, ჩვენ მიდრეკილნი ვართ იმისკენ, რომ გავაზვიადოთ უარყოფითი სოციალური ნორმების გავრცელების დონე ჩვენს დასახლებაში და, ამის საპირისპიროდ, დავაკნინოთ დადებითი სოციალური ნორმების ან დადებითი პრაქტიკის სიხშირე. ამის შედეგად, ეს (მცდარი) აღქმა ცვლის ჩვენს ქცევას და უახლოებს მას სოციალური ნორმების ჩვენეულ აღქმას, რაც ხშირად უფრო უარყოფისკენ იხრება. ჩვენ შეიძლება, სახლი ჩვენს ვაჟს დავუტოვოთ, რადგანაც ჩვენს აღქმაში საზოგადოება მხარს უჭერს მემკვიდრეობის ბიჭისთვის გადაცემას, იმის მიუხედავად, რომ გვჯერა, მემკვიდრეობა ბიჭსა და გოგოს შორის თანაბრად უნდა განაწილდეს.

ამ მანკიერი წრისგან თავის დასაღწევად მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ და სხვებსაც გავაგებინოთ, თუ რა არის საზოგადოებაში რეალურად არსებული ნორმები და როგორ განსხვავდება ჩვენი საკუთარი წარმოდგენებისგან. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული გენდერული სტერეოტიპები საქართველოში გავრცელებულია, სხვა სტერეოტიპები რეალურად იმაზე ნაკლებად გვხვდება, ვიდრე ხალხს ეს წარმოუდგენია. სოციალური ნორმების მიდგომის მიხედვით, საზოგადოებისთვის ამ ინფორმაციის მიწოდებამ და იმის გარკვევამ, რომ ზოგი გენდერული სტერეოტიპი შეიძლება, სულაც არ იყოს ისეთი გავრცელებული, როგორც მათ ჰგონიათ, შეიძლება, წაახალისოს ისინი, რომ უფრო თავისუფლად გამოხატონ თავისი რწმენა და დამოკიდებულება, რაც გენდერულ თანასწორობას უჭერს მხარს და არ ჰქონდეთ საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის შიში. თავის მხრივ, ეს თანდათან და საბოლოოდ გამოიწვევს დისკრიმინაციული სოციალური ნორმებისა და პრაქტიკის შემცირებას და ხელს შეუწყობს გენდერულად უფრო თანასწორი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას საქართველოში.

საერთაშორისო მონაცემებს თუ შევადარებთ, ერთი შეხედვით, საქართველოში არსებული გენდერული დამოკიდებულებები გარკვეულწილად თანხვედრაშია ევროპის ბევრ სხვა ქვეყანასთან.[34] მაგალითად, საქართველოში რესპონდენტების 95 პროცენტს სჯერა, რომ საზოგადოებისთვის აუცილებელია, ქალებსა და კაცებს თანასწორად მოეპყრონ. საფრანგეთსა და ესპანეთში ეს მაჩვენებელი 91 პროცენტია. გარდა ამისა, ქართველების 96 პროცენტი მიიჩნევს, რომ კაცებსა და ქალებს ერთი და იგივე სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურება უნდა ჰქონდეთ. შვედეთის მოსახლეობის 89 პროცენტი ფიქრობს იმავეს. საინტერესოა, რომ ქართველებს, გენდერული თანასწორობის გაცხადებული მხარდაჭერის მიუხედავად, საკმაოდ კონსერვატიული შეხედულებები აქვთ გენდერულ ურთიერთობებსა და ქალების როლზე ოჯახსა და საჯარო ცხოვრებაში. მაგალითად, მოსახლეობის 69 პროცენტი ფიქრობს, რომ როცა დედა ანაზღაურების სანაცვლოდ მუშაობს, შვილები მძიმედ განიცდიან. საფრანგეთში მოსახლეობის მხოლოდ 19 პროცენტს აქვს მსგავსი შეხედულება. ასევე, ქართველების 50 პროცენტი ამბობს, რომ კაცები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან, ვიდრე ქალები. ავსტრიაში ეს მოსაზრება მოსახლეობის 21 პროცენტს აქვს. საქართველოში მოსახლეობის დაახლოებით 40 პროცენტს სჯერა, რომ კაცები უკეთესი ბიზნესმენები არიან, ვიდრე ქალები, რასაც ესპანეთში მოსახლეობის 10 პროცენტი, ავსტრიაში კი მოსახლეობის 20 პროცენტი ეთანხმება.

და ბოლოს, გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულების კვლევა აჩვენებს, რომ წარსულში ჩატარებულ მსგავს კვლევებთან შედარებით დამოკიდებულებებსა და პრაქტიკაში პოზიტიური ცვლილებები შეინიშნება.[35] მოცემული კვლევა ადასტურებს, რომ ახალგაზრდა თაობაში კაცები და ქალები უფრო არადისკრიმინაციულ და პროგრესულ გენდერულ დამოკიდებულებებს ამჟღავნებენ. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ გასული ათწლეულის განმავლობაში ცნობიერების ამაღლებასა და ქალთა გაძლიერებისა და უფლებების მხარდაჭერისკენ მიმართულ ძალისხმევას ქვეყანაში დადებითი გავლენა აქვს.

შენიშვნები

[1] მიკერძოებულობის გავრცელებულობის მაჩვენებელი გამოთვლილია როგორც იმ ადამიანების პროცენტი საქართველოს მთლიან მოსახლეობაში, რომლებმაც ერთ-ერთ ჩამოთვლილ დებულებაზე მაინც უპასუხეს "ვეთანხმები" ან "სრულად ვეთანხმები"

თავი 1

[2] UN Women. 2022. The Levers of Change: Gender Equality Attitudes Study 2022. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.unstereotypealliance.org/en/resources/research-and-tools/the-levers-of-change-gender-equality-attitudes-study-2022

[3] უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულების კვლევა 12 საკვანძო სფეროს მოიცავს, რომელიც მოცემულ ანგარიშში ათამდეა დაყვანილი, რადგანაც დამოკიდებულება სტერეოტიპული გენდერული როლების მიმართ და ხალხის როლი საზოგადოებაში სხვადასხვა თემატურ სექციაში გაერთიანდა. კვლევის მეთოდოლოგიის გასამდიდრებლად, კვლევა ინდივიდუალურ დამოკიდებულებებთან ერთად იყენებს კითხვებს სოციალური ნორმების აღქმის შესახებ.

[4] Alexander-Scott, M., E. Bell and J. Holden. 2016. DFID Guidance Notes: Shifting Social Norms to Tackle Violence Against Women and Girls. London: VAW Helpdesk.

სექცია 3.1

[5] განსხვავებები გამოვლინდა მულტინომიალური რეგრესიული მოდელის გამოყენებით. შედეგების ინტერპრეტაციის გასაადვილებლად დამოკიდებული ცვლადის კოდირება შემდეგნაირად მოხდა: ქულები 0-3 გაერთიანდა კატეგორიაში „რთული", ქულები 4-6 - კატეგორიაში „ნეიტრალური", ხოლო ქულები 7-10 - კატეგორიაში „მარტივი". პასუხის ვარიანტები „ნეიტრალური" და „არ ვიცი" ერთად დაჯგუფდა. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

[6] განსხვავებები გამოვლინდა მულტინომიალური რეგრესიული მოდელის გამოყენებით. შედეგების ინტერპრეტაციის გასაადვილებლად დამოკიდებული ცვლადის კოდირება შემდეგნაირად მოხდა: პასუხის ვარიანტები „სრულად ვეთანხმები" და „ვეთანხმები" დაჯგუფდა კატეგორიაში „ვეთანხმები", ხოლო პასუხის ვარიანტები „არ ვეთანხმები" და „საერთოდ არ ვეთანხმები" - კატეგორიაში „არ ვეთანხმები". დასახელების სიხშირიდან გამომდინარე, მესამე კატეგორიად გამოყენებული იქნა „არ ვიცი". პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

სექცია 3.2

[7]განსხვავებები გამოვლინდა ბინარული რეგრესიული მოდელის გამოყენებით. შედეგების ინტერპრეტაციის გასაადვილებლად დამოკიდებული ცვლადის კოდირება შემდეგნაირად მოხდა: „სრულად ეთანხმებით" და „ეთანხმებით" გაერთიანდა კატეგორიაში „ეთანხმებით", ხოლო „არ ეთანხმებით" და „საერთოდ არ ეთანხმებით" - კატეგორიაში „არ ეთანხმებით". პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

[8] განსხვავებები გამოვლინდა ბინარული რეგრესიული მოდელის გამოყენებით. შედეგების ინტერპრეტაციის გასაადვილებლად დამოკიდებული ცვლადის კოდირება შემდეგნაირად მოხდა: „სრულად ეთანხმებით“ და „ეთანხმებით“ გაერთიანდა კატეგორიაში „ეთანხმებით“, ხოლო „არ ეთანხმებით“ და „საერთოდ არ ეთანხმებით“- კატეგორიაში „არ ეთანხმებით“. პასუხების რაოდენობის სიმცირის გამო პასუხის ვარიანტი „არ ვიცი“ ანალიზიდან გამოირიცხა. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

[9] განსხვავებები გამოვლინდა მულტინომიალური რეგრესიული მოდელის გამოყენებით. შედეგების ინტერპრეტაციის გასაადვილებლად, დამოკიდებული ცვლადის კოდირება შემდეგნაირად მოხდა: „სრულად ეთანხმებით“ და „ეთანხმებით“ გაერთიანდა კატეგორიაში „ეთანხმებით“, ხოლო „არ ეთანხმებით“ და „საერთოდ არ ეთანხმებით“ - კატეგორიაში „არ ეთანხმებით“. დასახელების სიხშირიდან გამომდინდარე, მესამე კატეგორიად გამოყენებული იქნა „არ ვიცი“. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

[10] განსხვავებები გამოვლინდა ბინარული რეგრესიული მოდელის გამოყენებით. შედეგების ინტერპრეტაციის გასაადვილებლად დამოკიდებული ცვლადის კოდირება შემდეგნაირად მოხდა: „სრულად ეთანხმებით“ და „ეთანხმებით“ გაერთიანდა კატეგორიაში „ეთანხმებით“, ხოლო „არ ეთანხმებით“ და „საერთოდ არ ეთანხმებით“- კატეგორიაში „არ ეთანხმებით“. პასუხების რაოდენობის სიმცირის გამო პასუხის ვარიანტი „არ ვიცი“ ანალიზიდან გამოირიცხა. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

სექცია 3.3

[11]განსხვავებები გამოვლინდა მულტინომიალური რეგრესიული მოდელის გამოყენებით. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

[12] განსხვავებები გამოვლინდა ბინარული რეგრესიული მოდელის გამოყენებით. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

[13] განსხვავებები გამოვლინდა ბინარული რეგრესიული მოდელის გამოყენებით. შედეგების ინტერპრეტაციის გასაადვილებლად, დამოკიდებული ცვლადის კოდირება შემდეგნაირად მოხდა: „ძალიან დაინტერესებული“ და „ნაწილობრივ დაინტერესებული“ გაერთიანდა კატეგორიაში „დაინტერესებული“, ხოლო „არ არის დაინტერესებული“ და „საერთოდ არ არის დაინტერესებული“ - კატეგორიაში „არ არის დაინტერესებული“. პასუხის ვარიანტი „არ ვიცი“ ანალიზიდან გამოირიცხა, პასუხების მცირე რაოდენობის გამო. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

[14] განსხვავებები გამოვლინდა მულტინომიალური რეგრესიული მოდელის გამოყენებით. შედეგების ინტერპრეტაციის გასაადვილებლად, დამოკიდებული ცვლადის კოდირება შემდეგნაირად მოხდა: „სრულად ეთანხმებით“ და „ეთანხმებით“ გაერთიანდა კატეგორიაში „ეთანხმებით“, ხოლო „არ ეთანხმებით“ და „საერთოდ არ ეთანხმებით“ - კატეგორიაში „არ ეთანხმებით“. დასახელების სიხშირიდან გამომდინდარე, მესამე კატეგორიად გამოყენებული იქნა „არ ვიცი“. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

[15] განსხვავებები გამოვლინდა მულტინომიალური რეგრესიული მოდელის გამოყენებით. შედეგების ინტერპრეტაციის გასაადვილებლად, დამოკიდებული ცვლადის კოდირება შემდეგნაირად მოხდა: „სრულად

ეთანხმებით“ და „ეთანხმებით“ გაერთიანდა კატეგორიაში „ეთანხმებით“, ხოლო „არ ეთანხმებით“ და „საერთოდ არ ეთანხმებით“ - კატეგორიაში „არ ეთანხმებით“. დასახელების სიხშირიდან გამომდინდარე, მესამე კატეგორიად გამოყენებული იქნა „არ ვიცი“. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

სექცია 3.4

[16] განსხვავებები გამოვლინდა ბინარული რეგრესიული მოდელის გამოყენებით. შედეგების ინტერპრეტაციის გასაადვილებლად, დამოკიდებული ცვლადის კოდირება შემდეგნაირად მოხდა: „სრულად ეთანხმებით“ და „ეთანხმებით“ გაერთიანდა კატეგორიაში „ეთანხმებით“, ხოლო „არ ეთანხმებით“ და „საერთოდ არ ეთანხმებით“ - კატეგორიაში „არ ეთანხმებით“. პასუხის ვარიანტი „არ ვიცი“ პასუხების სიმცირის გამო ანალიზიდან გამოირიცხა. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

[17] განსხვავებები გამოვლინდა მულტინომიალური რეგრესიული მოდელის გამოყენებით. შედეგების ინტერპრეტაციის გასაადვილებლად, დამოკიდებული ცვლადის კოდირება შემდეგნაირად მოხდა: „სრულად ეთანხმებით“ და „ეთანხმებით“ გაერთიანდა კატეგორიაში „ეთანხმებით“, ხოლო „არ ეთანხმებით“ და „საერთოდ არ ეთანხმებით“ - კატეგორიაში „არ ეთანხმებით“. დასახელების სიხშირიდან გამომდინდარე, მესამე კატეგორიად გამოყენებული იქნა „არ ვიცი“. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

[18] განსხვავებები გამოვლინდა მულტინომიალური რეგრესიული მოდელის გამოყენებით, რომელიც პროგნოზირებს რესპონდენტების მიერ ბავშვის სქესისთვის უპირატესობის მინიჭებას. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

[19] განსხვავებები გამოვლინდა ბინარული რეგრესიული მოდელის გამოყენებით. შედეგების ინტერპრეტაციის გასაადვილებლად, დამოკიდებული ცვლადის კოდირება შემდეგნაირად მოხდა: „სრულად ეთანხმებით“ და „ეთანხმებით“ გაერთიანდა კატეგორიაში „ეთანხმებით“, ხოლო „არ ეთანხმებით“ და „საერთოდ არ ეთანხმებით“ - კატეგორიაში „არ ეთანხმებით“. პასუხის ვარიანტი „არ ვიცი“ პასუხების სიმცირის გამო ანალიზიდან გამოირიცხა. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

სექცია 3.5

[20] ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის (2022) თანახმად, საერთო ჯამში, 15-69 წლის ასაკის ქალების 50.1 პროცენტს ცხოვრების მანძილზე გამოუცდია ძალადობის შვიდი ფორმიდან ერთი ან რამდენიმე. კერძოდ, ქალების 8.5 პროცენტს გამოუცდია სექსუალური ძალადობა ბავშვობაში, ხოლო 19.7 პროცენტს გამოუცდია ფიზიკური ან/და ემოციური ძალადობა ბავშვობაში (18 წლამდე). გარდა ამისა, ქალების 22.9 პროცენტს გამოუცდია ძალადობა პარტნიორის მხრიდან. რაც შეეხება არაპარტნიორის მხრიდან ძალადობას, 15 წლის ასაკის შემდეგ, ცხოვრების მანძილზე, ქალების 6.5 პროცენტს გამოუცდია ფიზიკური ძალადობა, ხოლო 1.5 პროცენტს - სექსუალური ძალადობა. გარდა ამისა, ცხოვრების მანძილზე ქალების 24.5 პროცენტს გამოუცდია სექსუალური შევიწროება, ხოლო 8.5 პროცენტს- ადევნება. იხილეთ: გაეროს ქალთა ორგანიზაცია. 2023. ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2022. ხელმისაწვდომია: https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated_vaw_geo_web4-3.pdf

[21] განსხვავებები გამოვლინდა ბინარული რეგრესიული მოდელის გამოყენებით. შედეგების ინტერპრეტაციის გასაადვილებლად, დამოკიდებული ცვლადის კოდირება შემდეგნაირად მოხდა: „სრულად ეთანხმებით“ და „ეთანხმებით“ გაერთიანდა კატეგორიაში „ეთანხმებით“, ხოლო „არ ეთანხმებით“ და „საერთოდ არ ეთანხმებით“

- კატეგორიაში „არ ეთანხმებით“. პასუხის ვარიანტი „არ ვიცი“ პასუხების სიმცირის გამო ანალიზიდან გამოირიცხა. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

[22] განსხვავებები გამოვლინდა მულტინომიალური რეგრესიული მოდელის გამოყენებით. შედეგების ინტერპრეტაციის გასაადვილებლად, დამოკიდებული ცვლადის კოდირება შემდეგნაირად მოხდა: „სრულად ეთანხმებით“ და „ეთანხმებით“ გაერთიანდა კატეგორიაში „ეთანხმებით“, ხოლო „არ ეთანხმებით“ და „საერთოდ არ ეთანხმებით“ - კატეგორიაში „არ ეთანხმებით“. დასახელების სიხშირიდან გამომდინდარე, მესამე კატეგორიად გამოყენებული იქნა „არ ვიცი“. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

სექცია 3.6

[23] განსხვავებები გამოვლინდა მულტინომიალური რეგრესიული მოდელის გამოყენებით. შედეგების ინტერპრეტაციის გასაადვილებლად, დამოკიდებული ცვლადის კოდირება შემდეგნაირად მოხდა: ქულები 0-3 დაჯგუფდა კატეგორიაში „ცუდად“, ქულები 4-6 - კატეგორიაში „ადეკვატურად“, ხოლო ქულები 7-10 - კატეგორიაში „კარგად“. პასუხის ვარიანტები „ნეიტრალური“ და „არ ვიცი“ ერთად დაჯგუფდა. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

[24] განსხვავებები გამოვლინდა მულტინომიალური რეგრესიული მოდელის გამოყენებით. შედეგების ინტერპრეტაციის გასაადვილებლად, დამოკიდებული ცვლადის კოდირება შემდეგნაირად მოხდა: ქულები 0-3 დაჯგუფდა კატეგორიაში „ცუდად“, ქულები 4-6 - კატეგორიაში „ადეკვატურად“, ხოლო ქულები 7-10 - კატეგორიაში „კარგად“. დასახელების სიხშირიდან გამომდინდარე, მეოთხე კატეგორიად გამოყენებული იქნა „არ ვიცი“. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

[25] განსხვავებები გამოვლინდა მულტინომიალური რეგრესიული მოდელის გამოყენებით. შედეგების ინტერპრეტაციის გასაადვილებლად, დამოკიდებული ცვლადის კოდირება შემდეგნაირად მოხდა: „სრულად ეთანხმებით“ და „ეთანხმებით“ გაერთიანდა კატეგორიაში „ეთანხმებით“, ხოლო „არ ეთანხმებით“ და „საერთოდ არ ეთანხმებით“ - კატეგორიაში „არ ეთანხმებით“. დასახელების სიხშირიდან გამომდინდარე, მესამე კატეგორიად გამოყენებული იქნა „არ ვიცი“. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

სექცია 3.7

[26] განსხვავებები გამოვლინდა მულტინომიალური რეგრესიული მოდელის გამოყენებით. შედეგების ინტერპრეტაციის გასაადვილებლად, დამოკიდებული ცვლადის კოდირება შემდეგნაირად მოხდა: ქულები 0-3 დაჯგუფდა კატეგორიაში „არა დამოუკიდებლად“, ქულები 4-6 - კატეგორიაში „გარკვეულწილად დამოუკიდებლად“, ხოლო ქულები 7-10 - კატეგორიაში „დამოუკიდებლად“. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

[27] განსხვავებები გამოვლინდა მულტინომიალური რეგრესიული მოდელის გამოყენებით. შედეგების ინტერპრეტაციის გასაადვილებლად, დამოკიდებული ცვლადის კოდირება შემდეგნაირად მოხდა: ქულები 0-3 დაჯგუფდა კატეგორიაში „არ არის გამართლებული“, ქულები 4-6 - კატეგორიაში „გარკვეულწილად გამართლებულია“, ხოლო ქულები 7-10 - კატეგორიაში „გამართლებულია“. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

[28] განსხვავებები გამოვლინდა მულტინომიალური რეგრესიული მოდელის გამოყენებით. შედეგების ინტერპრეტაციის გასაადვილებლად, დამოკიდებული ცვლადის კოდირება შემდეგნაირად მოხდა: ქულები 0-3 დაჯგუფდა კატეგორიაში „არ არის გამართლებული“, ქულები 4-6 - კატეგორიაში „გარკვეულწილად გამართლებულია“, ხოლო ქულები 7-10 - კატეგორიაში „გამართლებულია“. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

სექცია 3.8

[29] განსხვავებები გამოვლინდა მულტინომიალური რეგრესიული მოდელის გამოყენებით. შედეგების ინტერპრეტაციის გასაადვილებლად, დამოკიდებული ცვლადის კოდირება შემდეგნაირად მოხდა: ქულები 0-3 დაჯგუფდა კატეგორიაში „არანაირი კონტროლი“, ქულები 4-6- კატეგორიაში „გარკვეული კონტროლი“, ხოლო ქულები 7-10 - კატეგორიაში „დიდი კონტროლი“. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

[30] განსხვავებები გამოვლინდა მულტინომიალური რეგრესიული მოდელის გამოყენებით. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

სექცია 3.9

[31] განსხვავებები გამოვლინდა ბინარული რეგრესიული მოდელის გამოყენებით. შედეგების ინტერპრეტაციის გასაადვილებლად, დამოკიდებული ცვლადის კოდირება შემდეგნაირად მოხდა: პასუხის ვარიანტები „ძალიან მნიშვნელოვანია“ და „ნაწილობრივ მნიშვნელოვანია“ გაერთიანდა კატეგორიაში „მნიშვნელოვანია“, ხოლო პასუხის ვარიანტები „ნაწილობრივ არ არის მნიშვნელოვანი“ და „საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი“ - კატეგორიაში „არ არის მნიშვნელოვანი“. პასუხის ვარიანტი „არ ვიცი“ ანალიზიდან გამოირიცხა პასუხების სიმცირის გამო. პრედიქტორები მოიცავს სტანდარტულ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასახლების ტიპი, ეთნიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი და მიღებული განათლების დონე.

სექცია 4

[32] Miller, D. T. and C. McFarland. 1987. “Pluralistic ignorance: When similarity is interpreted as dissimilarity.” Journal of Personality and Social Psychology 53 (2), pp. 298–305. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://doi.org/10.1037/0022-3514.53.2.298

[33] Berkowitz, A. D. 2005. “An Overview of the Social Norms Approach.” In Changing the Culture of College Drinking: A Socially Situated Health Communication Campaign. L. C. Lederman and L. P. Stewart (Eds.). Cresskill, NJ: Hampton Press, Inc., pp. 193–214.

[34] UN Women. 2022. The Levers of Change: Gender Equality Attitudes Study 2022. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.unstereotypealliance.org/en/resources/research-and-tools/the-levers-of-change-gender-equality-attitudes-study-2022

[35] გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA). 2020. კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება. ხელმისაწვდომია: https://georgia.unfpa.org/en/publications/men-women-and-gender-relations-georgia-public-perceptions-and-attitudes

UN Women Georgia Country Office,
87 Paliashvili Street, Office Suite 4,
Tbilisi 0179, Georgia
Tel: (995 32) 222 06 04
(995 32) 222 08 70

www.unwomen.org
georgia.unwomen.org

UN WOMEN